№ 65
(11 214)
18 – 20 აგვისტო, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი

თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიო პირველობა

# ალექსანდრე მოდებაძეს და დავით ლეჟავას–ვერცხლი!

როგორც ადრე გაუწყეთ, ლას-ვეგასში (აშშ) 7 თავისუფალი სტილის მოჭიდავე გაემგზავრა 20 წლამდე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე. გუნდი უკვე შინ დაბრუნდა, 2 მეორე პრიზიორია – ალექსანდრე მოდებაძე მძიმე წონაში და დავით ლეჟავა 65 კგ. წონით კატეგორიაში.


ალექსანდრე მოდებაძე

ალექსანდრე მოდებაძე უფროსი თაობის ღირსეულ მემკვიდრედ წარმოგვიდგება. შარშან იგი ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, წლეულს კი კონტინენტზე მეორე იყო, ახლა იგივე წარმატება მსოფლიოს პირველობაზე ხვდა წილად. ალექს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და სპორტსაზოგადოება „მართვეს" წევრია. ამჟამად მას გამოცდილი ოსტატი ზაზა თურმანიძე ამეცადინებს.

დავით ლეჟავასთვის ეს მეორე დიდი წარმატებაა – 1996 წელს ევროპის მეორე პრიზიორი იყო. შარშან კი ტრავმის გამო ევროპის პირველობაზე ვერ გამოვიდა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი გუნდი VI ადგილზეა. სამეული კი ასე გამოიყურება: 1. ირანი, 2. რუსეთი, 3. აშშ („გუმათი").

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი • II ტური

სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 10-2 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| იბერია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| გურია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ვიტ-ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| სამგურალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| გორდა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| კოლხეთი-1913 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| მერანი-91 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| დინამო (ბთ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| თსუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| ოდიში | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

*III ტურის მატჩები გაიმართება 21,22,23 აგვისტოს. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გუნდიდან საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში გამოძახებულია 10 (!) ფეხბურთელი, 22 აგვისტოს „გორდა" – „დინამოს" მატჩი გადატანილია სამერმისოდ.*

*II ტურის მიმოხილვა იხ. მე-4 გვ.*

გამოხმაურება წერილზე: „ქიში, როქი, თუ..."

# თუ სპორტს დღესვე არ მივუჩენთ ღირსეულ ადგილს...

წერილში „ქიში, როქი თუ..." „ლელო" სამართლიანად წერდა, რომ ქართულმა სპორტმა და მისმა ხელმძღვანელობამ, ისე როგორც მთელმა საქართველომ, უმძიმესი წლები გადაიტანა, გადაიტანა ღირსეულად და ვაჟკაცურად. დიდი ანალიზი არ არის საჭირო. რომ დაინახო, სპორტი ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი დარგია, რომელიც მსოფლიოს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების გვერდით დგას და ზოგიერთებს უსწრებს კიდეც. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ქ. მოსკოვში გამართულ მსოფლიოს პირველ ახალგაზრდულ თამაშებში 131 ქვეყანასთან ჭიდილში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების მიერ დაკავებული გუნდური VI ადგილი, თუნდაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის სამი ოქროს მედალი. ეს წარმატებები თავისთავად არ მოდის, მას სპორტის ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტების, მწვრთნელებისა და სპორსტმენების უდიდესი ძალისხმევა სჭირდება.

მე, როგორც სპორტის მუშაკს, ყოველთვის მაღელვებდა და მაღელვებს სპორტისადმი ზერელე დამოკიდებულება. ეს სფერო რატომღაც ყოველთვის ობოლი ბავშვის როლში გამოდიოდა, საკმარისია რაიმე ცვლილებები მოხდეს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, რომ მაშინვე ჩნდება ჭორები სპორტის სფეროს, როგორც დარგის სავარაუდო რეორგანიზაციაზე. ახლა გამოჩნდა პუბლიკაციები, სადაც წინასწარმეტყველებენ სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტების გაერთიანებას, მეტიც, მათთან კიდევ ახალგაზრდობის დეპარტამენტის დამატებას. აქვე ასახელებენ ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელთა ახალ კანდიდატურებს, რითაც, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილს აყენებენ სპორტის დეპარტამენტის დღევანდელ ხელმძღვანელობას, რომელთა შესაშურმა შემართებამ გადაარჩინა ქართული სპორტი და დღესაც მზად არიან ზიდონ ეს მძიმე ტვირთი.

ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ეწერა, რომ „სამინისტროებში, დეპარტამენტებში, სამმართველოებში სერიოზული რეორგანიზაცია უნდა მოხდეს, შეიცვალოს, გაერთიანდეს ან სხვა. შესაძლოა ეს ბევრ სამინისტროს ან სამსახურს არ ესიამოვნოს, მაგრამ ცხოვრება გარკვეულ პირობებს გვკარნახობს".

რა თქმა უნდა, ცხოვრება როგორც მოითხოვს, ისე უნდა გაკეთდეს ყველაფერი. და, რიგ შემთხვევაში ეს მართლაც გარდაუვალი აუცილებლობაა, მაგრამ სპორტში არამც და არამც. სპორტს სხვა ფუნქცია აკისრია, ტურიზმს სულ სხვა. მათ შორის არანაირი კავშირი არ არსებობს, ხოლო თუ იმას ვფიქრობთ, რომ ეს მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, მცდარია, ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჯერჯერობით სპორტიც და ტურიზმიც სახელმწიფოს შემყურეა და აქედან გამომდინარე, გაერთიანებას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

• ჯერ კიდევ 50-იან წლებში სპო-

*იხ. მე-2 გვ.*

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში 20 აგვისტომდე გრძელდება საბუთების მიღება VII-VIII კლასებში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, მძლეოსნობის, ველოსპორტის, ნიჩბოსნობის განყოფილებებზე. სასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებს საცხოვრებლით, დღეში სამჯერადი კვებით, სამედიცინო მომსახურებით, წვრთნის პირობებით – ყველაფერი ეს ბიუჯეტის ხარჯზეა. (მისამართი: გლდანი, ტელ. 67-03-44).

## ნახევარფინალი ზღვარი აღმოჩნდა

ვენაში კეტბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე, „B" ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა 16 გუნდში ნახევარფინალამდე მიაღწია და ბრძოლას გამოეთიშა: პოლონეთის, ხორვატიის, უნგრეთის, უკრაინის გუნდების ძლევის შემდეგ, ჩვენები კვლავ ხორვატებს გადაეყარნენ. ქართველი კეტბურთელები ამჯერად დიდი ანგარიშით დამარცხდენ 1-8, გვაცნობა საქართველოს კეტბურთის ფედერაციიდან გელა ჩიხრაძემ.

## ნადეჟდა დვალიშვილს და მაია აზარაშვილს იააფ-ის ჯილდო

მსოფლიო მძლეოსნობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) მიმდინარე წელი მძლეოსან ქალთა წლად გამოაცხადა, იააფ-მა მედლით და საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს ორი შესანიშნავი მძლეოსანი ქალი ნადეჟდა დვალიშვილი და მაია აზარაშვილი, რომლებიც წარსულში, სხვადასხვა დროს, წარმატებით გამოდიოდნენ ოლიმპიურ თამაშებში და სხვა შეჯიბრებებში.

„გუმათი"

## გიორგი მერკვილაძე – 100

ქართულ სპორტს ჰყავდა თავისი პატრიარქები და ერთი მათგანია გიორგი მერკვილაძე. ამ კაცმა ღირსეულად ზიდა ქართული სპორტის მესაძირკვლეთა მძიმე ტვირთი და ახალ სიმაღლეზე აიყვანა წინამორბედთა დაწყებული საქმე. ის იყო ნოვატორი, მუდამ სიახლის მაძიებელი და ამ სიახლეთა პრაქტიკაში დამნერგავი პიროვნება. მას ღრმად სწამდა, რომ ქართული სპორტის აწმყო და მომავალი ახალ-ახალი ტალანტების ულევი საბადო ბავშვთა სპორტია. მაგალითისთვის კი ისიც კმარა, რომ ყველა ჩვენმა ოლიმპიურმა, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონმა და პრიზიორმა, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში თავგამოჩენილმა სპორტსმენმა პირველი ნათლობა ბავშვთა სპორტში მიიღო და გიორგი მერკვილაძის მიერ შემუშავებულმა სისტემამ გაიყვანა ისინი დიდ არენაზე. ამ ღვაწლმოსილი ადამიანის ნაფიქრ-ნააზრევი პრაქტიკულ ხორცშესხმას ჰპოვებდა აგრეთვე მთელს საბჭოთა კავშირში და უცხოეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით გდრ-ში,



რომელიც მალე იქცა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ზემძლავრ სპორტულ სახელმწიფოდ.

**გუშინ.** **საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამავე დეპარტამენტის *ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელს* (ყოფილი გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი) მისი დამფუძნებლის *გიორგი მერკვილაძის სახელი მიანიჭა.***

## ტურიზმი

### საქართველოში ტურიზმის აღორძინება ფორუმით იწყება

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 150 ტურისტული ფირმისა და სააგენტოს წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ტურისტულ ფორუმში, რომლის ჩატარება წლეულს, გვიან შემოდგომაზე, თბილისშია დაგეგმილი. ეს ღონისძიება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის თაოსნობით ეწყობა, თბილისმა კი ფორუმის მასპინძლობის უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი.

## კანდელაკი მეორე ბრძოლისთვის კალიფორნიაში მოემზადება



კრივის ქართველმა გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ მოყვარულთა შორის შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა, ჩვენმა თანამემამულემ ***გიორგი კანდელაკმა*** დიდი ხანი არ არის, რაც პროფესიულ კრივში სცადა ბედი. ამას წინათ, მან პირველი სადებიუტო შერკინებაც მოიგო – ინგლისელ უილიამსს სძლია. როგორც შევიტყვეთ, 26 სექტემბერს კანდელაკმა მეორე ორთაბრძოლა უნდა გამართოს. ამჯერად მისი მეტოქე ამერიკელი მოკრივე იქნება (ვინაობა უცნობია). ამ მატჩისათვის მოსამზადებლად კანდელაკი 22 აგვისტოდან საწვრთნელ შეკრებას გაივლის კალიფორნიაში.

# იოჟეფ საბო: ქართველებთან მატჩი ამხანაგური კია, მაგრამ პრინციპული

„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი კიევიდან:

უკრაინის დედაქალაქს 17 აგვისტოს დილით ჩავედი და იმთავითვე კონჩა-ზასპეს, ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ბაზისაკენ გავემართე. საქართველოს ნაკრებთან მატჩისათვის მოსამზადებლად ეროვნული გუნდის შეკრებაზე, 12 საათისთვის იქ გამოცხადდნენ: ***მეკარეები*** – ალექსანდრე შოვკოვსკი („დინამო", კ.), ვალერი ვორობიოვი („ტორპედო," მ.); ***მცველები*** – ოლეგ ლუჟნი, ვლადისლავ ვაშუკი, ალექსანდრ გოლოვკო, (ყველა – „დინამო", კ.) ვლადიმირ მიკიტინი, ვლადიმირ ეზერსკი (ორივე – „კარპატი"), მიხეილ სტაროსტიაკი („შახტიორი"), ვიქტორ სკრიპნიკი („ვერდერი"), იური ვერნიდუბი („ზენიტი"); ***ნახევარმცველები*** – იური კალიტვინცევი, ანდრეი გუსინი, ვიტალი კოსოვსკი, დმიტრი მიხაილენკო (ყველა – „დინამო", კ), სერგეი კოვალიოვი („შახტიორი"), ალექსანდრ ევტუშოკი („კარპატი"), რომან მაქსიმიუკი („ზენიტი"); ***თავდამსხმელები*** – ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, სერგეი კონოვალიოვი (ყველა – „დინამო", კ.), სერგეი სკაჩენკო („ტორპედო", მ.).

შესაძლებლობა მომეცა რამდენიმე წუთით გავსაუბრებოდი უკრაინის ნაკრების მწვრთნელს იოჟეფ საბოს. მისი თქმით, მართალია ქართველებთან მატჩი ამხანაგურია, მაგრამ საკმაოდ პრინციპული – ნაკრებების დონეზე ეს შეხვედრა პირველია და, ცხადია, ისტორიაშიც შევა. გარდა ამისა, ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირისწინა გენერალური რეპეტიციაცაა. მოგეხსენებათ, უკვე 5 სექტემბერს უკრაინელები პირველ ოფიციალურ მატჩში რუსეთის, ხოლო ქართველები ალბანეთის გუნდებს შეხვდებიან. საბოს განცხადებით, ნაკრების შეკრებაზე ხვალისათვის დამატებით გამოძახებულნი არიან ***მცველები*** – სერგეი ბეჟენარი (ცსკა, კ.) და სერგეი პოპოვი („შახტიორი"), ***ნახევარმცველები*** – ედუარდ ციხმეისტრუკი (ცსკა, კ.), ვლადიმირ მუსოლიტინი („ვორსკლა") და იური სელეზნიოვი („შახტიორი").



*შეტევაზეა კიეველი ოლეგ ლუჟნი (თეთრ მაისურში)*

კონჩა-ზასპედან კიევს გავემართე, სადაც „დინამოს" ახალ ბაზაზე მოვინახულე საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი *კახი კალაძე*. აი, რა გვიამბო მან: – ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ჯერ საკმაოდ იოლად გავუსწორდით უელსურ კლუბს, შემდეგ კი, გვეგონა, იგივეს დავაყრიდით ჩეხეთის „სპარტას", სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ახლა ძალიან სერიოზულად ვემზადებით სტუმრად რევანშის ასაღებად.

● ***გავიგეთ, ტრავმირებული ყოფილხარ.***

– დიახ, „სპარტასთან" მატჩამდე წინა დღეს ვარჯიშზე ძლიერად დარტყმული ბურთი მომხვდა თავში, უცებ წნევამ ამიწია და გულის რევა დამეწყო. ყველას ეგონა, ტვინის შერყევა მივიღე, ამიტომ ექიმებმა წოლითი რეჟიმი გამომიწერეს. მიუხედავად ამისა, სანამ სტადიონზე გავემგზავრებოდით, მივედი მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკისთან და განვუცხადე, რომ თამაშზე გასვლა მსურდა, საბედნიეროდ, მან დამიჯერა და ძირითად შემადგენლობაში დამაყენა.

● ***მართალია, მინიმალური ანგარიშით დამარცხდით, მაგრამ, ამბობენ, ურიგოდ არ გითამაშია...***

– კი, წავაგეთ, მაგრამ მთელი გუნდი რევანშისათვის გაცხოველებით ემზადება. მე მგონი, მიზანს მივაღწევთ.

● ***რას ამბობენ უკრაინა-საქართველოს 19 აგვისტოს მატჩზე?***

– მართალია ახლა ყველა „სპარტა" – „დინამოს" ორთაბრძოლაზეა გადართული, მაინც მგონია, რომ ნაკრებების მატჩზეც მოვა ბევრი მაყურებელი. ამიტომ, ვიცი, ორივე გუნდი სერიოზულად ემზადება ამ შეხვედრისათვის.

ერთ-ორ ფეხბურთელს თუ არ ჩავთვლით, უკრაინელებს, ფაქტობრი-

*იხ. მე-3 გვ.*

# თუ სპორტს დღესვე არ მივუჩენთ ღირსეულ ადგილს...

*(პირველი გვერდიდან)*

რტის კომიტეტი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეუერთეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მის უაზრობაში და სასწრაფოდ (მეექვსე თვეზე) გამოყვეს იგი ცალკე სტრუქტურად. სსრკ პერიოდში თითქმის ყველა „ისტორიული" ყრილობისა თუ პლენუმის შემდეგ ეცვლებოდა სახელწოდება და სტრუქტურა სპორტის მმართველ ორგანოს. სამწუხაროდ, ასე გრძელდება დღემდე — დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკვე მეხუთედ დგება საკითხი სპორტის მმართველი ორგანოს სახელწოდებისა და ფუნქციის შეცვლის შესახებ. 1996 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", რომელშიც სთავაზობდნენ პარლამენტს სპორტის დეპარტამენტი გაეერთიანებინათ კულტურის სამინისტროსთან. საღმა აზრმა გაიმარჯვა და როგორც იტყვიან, მაშინ გადავრჩით.

ახლა საკითხავია, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით და მხოლოდ ჩვენზეა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და წესის განსაზღვრა, რატომ ვერ გამოვუნახეთ სპორტს თავისი კუთვნილი ადგილი? ნუთუ სულ ერთია, სად „განთავსდება" სპორტი. ყველამ კარგად იცის, თუ რა ადგილი უკავია სპორტს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სპორტი იქცა განსაკუთრებულ სოციალურ მოვლენად, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ მოძრაობად.

დარგი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20 %-ს, იმსახურებს იმას, რომ იყოს დამოუკიდებელი სტრუქტურა. მას დეპარტამენტი კი არა, სამინისტრო უნდა ერქვას და მისი ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს მთავრობის წევრი, იმდენად დიდი და ფართოა სპორტის, როგორც ქვეყნის სოციალური აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის ფუნქცია.

**გურამ ძაგანია,**
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი, პროფესორი.**

# მანგლისმა სპორტული პროფილი გაიხსენა

ვინც ძნელ პირობებს საბაბად არ გამოიყენებს, ვინც გამონახავს შესაძლებლობებს და უცილებელს დროულად გააკეთებს, ასმაგად დასაფასებელია. როცა ყველას ეგონა, რომ ბავშვთა საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ტრადიციები წარსულ ჩაბარდა, სწორედ ამ დროს თბილისის მერიის განათლების მთავარმა სამმართველომ (ზ. მარუაშვილი) და მისმა მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტულმა გაერთიანებამ (ვ. ჭკუასელი), მანგლისში, ამ ცხელ ზაფხულში, ორ 100-100 წევრიან ნაკადად მიავლინეს მოსწავლე-სპორტსმენები. ისეთმა გამოცდილმა განათლების მუშაკმა, როგორიცაა უ. თეთრაშვილი, მოზარდებს ყველგვარი პირობები შეუქმნა დასვენება-ვარჯიშისათვის. მომავალში კი ასეთი ბანაკები რესპუბლიკის სხვა კურორტებზეც გაიხსნება.

# „სპორტული საქართველოს" ახალი ორგანიზაციები

გრძელდება სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციების დაფუძნების პრო[illegible] კიდევ სამ რაიონში შეიქმნა ახალი ორგანიზაცია. ვაკის რაიონში თავმჯდომარედ აირჩიეს წარსულში ცნობილი ფალავანი სპარტაკ ქარსაულიძე, გლდანის რაიონში, ასევე პოპულარული პიროვნება, ზარიბეგ ბერიაშვილი, სამგორში — თენგიზ მაჭარაშვილი.




**იმკურნალეთ ივ. სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა;
ტელ: 23-59-59; 29-47-48.


## დებიუტანტი

### გიორგი მგალობლიშვილი
**ჭადრაკი**



***დაიბადა*** 1991 წელს ქობულეთში ***მუხაესტატეს*** საშუალო სკოლის მოსწავლეა

***1996 წლიდან*** მეცადინეობს ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის საჭადრაკო სკოლაში გენადი ზეინალოვთან, კონსულტანტია ამირან ბერძენიშვილი.

***1997 წელს*** აჭარის ჩემპიონი გახდა 10 წლამდე ჭაბუკებში.

***1998 წელს*** II ადგილზე გავიდა საჭადრაკო ფესტივალში „ივერია-98"-ში პირველობა მოიპოვა, ხოლო „საქართველო-98"-ში მეორე იყო.

# „ომეგა" მეცენატობის მწვერვალზე

როგორც ცნობილი გახდა, ფირმა „ომეგამ" გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით, მყინვარწვერზე, ბეთლემის გამოქვაბულთან ახლოს, ეკლესია დადგას. დიახ, დადგას, რადგან სალოცავის ლითონკონსტრუქციები შვეულმფრენით მონტაჟდება. თბილისის საავიაციო ქარხანამ უკვე შეასრულა დაკვეთა და კონსტრუქციები დაამზადა. ეკლესიის სიმაღლე 2,40, სიგანე კი 3 მეტრი იქნება და 600 კგ-ს იწონის, დაიტევს 23 ადამიანს. ეკლესიის დადგმას ილია-II-ის ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობს მეუფე ნიკოლოზი.

ამასთან, „ომეგას" განზრახული აქვს დააფინანსოს ქართველ მთამსვლელთა 7-კაციანი ექსპედიცია, რომელიც ჰიმალაის მწვერვალ მანასლუზე (8164 მ.) ასასვლელად ემზადება.

# „ფორმულა-1": დაეწევა გერმანელი ფინელს?

ეს ეტაპიც რომ მოეგო, ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენი და მისი გუნდი „მაკლარენი" მეტოქეთათვის თითქმის მიუწვდომელი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და „ფორმულა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონატზე სიტუაცია დაიძაბა.

უნგრეთის დიდი პრიზი კი „ჰუნგარორინგის" ავტოდრომზე ჰაკინენის მდევარმა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა („ფერარი") მოიგო. მეორე შედეგი ჰქონდა მაკლარენელ დევიდ კულჰარდს, მესამე - უილიამსელ ჟაკ ვილნევს. პირად ჩათვლაში 12 რბოლის შემდეგ ლიდერობენ: ჰაკინენი (77 ქულა), მ. შუმახერი (70), კულჰარდი (48). გუნდურ პირველობაში კი მდგომარეობა ასეთია: 1. „მაკლარენი" - 125 ქულა. 2. „ფერარი" - 102,3, 3. „ბენეტონი" - 32.

# „დინამო" – „მრეტების" კონფლიქტის ექო

**ტელეფაქსი გერმანიიდან | წერილი მეხუთე**

დასაწყისი იხ. „ლელო" №61, 62, 63, 64

## მრეტების მოთხოვნები

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ფკ მრეტები თბილისი მოგმართავთ თხოვნით:

1. უზრუნველყოთ, რომ სამოქალაქო სასამართლოში ჩივილის გამო, ფკ დინამო თბილისის მიმართ ძალაში შევიდეს სფფ-ს 1,09.1997 დადგენილების მე-4 მუხლი.

2. უზრუნველყოთ, რომ ფკ დინამო თბილისმა სფფ-ს 2.01. 1997 და 1.09.1997 დადგენილებებით გათვალისწინებული 875.000. — აშშ დოლარი 1998 წლის 5 (ხუთი) აგვისტომდე ჩარიცხოს ფკ მრეტები თბილისის 2.04.1998 წერილში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე.

3. უზრუნველყოთ, რომ ფკ დინამო თბილისმა, როგორც 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტის საფუძველზე ფკ მრეტები თბილისის წინაშე ანგარიშვალდებულმა პირმა, სფფ-ში, ფკ მრეტები თბილისის თანდასწრებით, ასლების გადაღების უფლებით, წარმოადგინოს ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ფკ დინამო თბილისი — ფკ მანჩესთერ სითი — ფკ აიაქს ამსთერდამი ტრანსფერის პირველადი დოკუმენტების დედნები (ტრანსფერის კონტრაქტი. საფინანსო ანგარიშსწორებების, მათ შორის სფფ-ში უკვე წარმოდგენილი საბუთის შესაბამისი საფინანსო ანგარიშსწორებების დამადასტურებელი საბუთები და სხვ.) აღნიშნული საბუთები სფფს მიერ გადაგზავნილ იქნას ფიფა-ში თხოვნით: „ფიფა-ს მიერ გადამოწმდეს წარმოდგენილი საბუთები და დადგინდეს ფკ დინამო თბილისის მიერ მიღებული ტრანსფერის თანხები (ტრანსფერის ხარჯების თანხების ჩათვლით) და ვინაიდან ამ თანხების 50 % ფკ მრეტები თბილისს ეკუთვნის, თავად ფიფა-მ დააწესოს გადახდის ვადები".

4. უზრუნველყოთ, რომ ფკ დინამო თბილისმა ფკ მრეტები თბილისს 1998 წლის 15 ოქტომბრამდე აუნაზღაუროს მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი სამი წლის განმავლობაში ვერმიღებული თანხის 100 %-ის ანუ 875.000 აშშ დოლარის ოდენობით (თავად ფკ დინამო თბილისი სამოქალაქო სასამართლოში ზუსტად იგივე მოტივაციით 875.000, — აშშ დოლარს ითხოვდნენ სფფ-გან).

5. უზრუნველყოთ, რომ სფფ-მ ფკ მრეტები თბილისს აუნაზღაუროს მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი: სფფ-მ რეალურად უშუამდგომლოს საქართველოს მთავრობის წინაშე ფკ მრეტები თბილისს, რათა მას გამოეყოს სათანადო ტერიტორია (რა თქმა უნდა, შესაბამისი გადასახდელებით), ბაზის ასაშენებლად.

6. უზრუნველყოთ, რომ ფკ დინამო თბილისის მიერ წინამდებარე მოთხოვნების მე-2 (მეორე) მუხლის უგულებელყოფის შემთხვევაში, ძალაში შევიდეს სფფ-ს 1.09.1997 დადგენილების მე-2 მუხლი, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლზე დაყრდნობით დაწესდეს ახალი ვადები ამ თანხის დასაფარავად, შესაძლო კონკრეტული სანქციების დაწესების ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი ჩვენი მოთხოვნები უცვლელი რჩება.

7. უზრუნველყოთ შესაბამისი ინფორმაციის ტელეფაქსით ფიფაში გადაგზავნა; ამ ტელეფაქსის „ქართულ ფეხბურთში" გამოქვეყნება; ამ ტელეფაქსის ასლის ფკ მრეტები თბილისისათვის გადაცემა.

## ვინ ართმევს ფულს ქართულ ფეხბურთს?

ზემოაღნიშნული თანხებით ისეთ ბაზას ავაშენებთ, არა მარტო თბილისის ბავშვები რომ ივლიან „მრეტებში". და არა ერთ სამუშაო ადგილს შევქმნით. და მერე ილაპარაკონ ქართული ფეხბურთის მიმართ საერთაშორისო ეკონომიკურ დივერსიაზე გერმანელების მხრიდან.

სწორედ „მრეტები" და მისი გერმანელი პარტნიორები დააბრუნებენ ქართულ ფეხბურთში ამ მილიონებს, რაც დღეს „დინამოს" გამო უკვე დაკარგულია ქართული ფეხბურთისთვის.

სწორედ „დინამო" ართმევს „მრეტების" თანხებს ქართულ ფეხბურთს და არა პირიქით.

„მრეტებს" ყოველთვის ქართულ ფეხბურთში მოჰქონდა და მოაქვს თანხები. „დინამოს" კი ყოველთვის ქართული ფეხბურთიდან მოჰქონდა და მიაქვს თანხები. და ეს მთელმა საქართველომ იცის.

საჯაროდ ვაცხადებთ: „მრეტებს", უკონტრაქტოდ. სიტყვაზეც ენდობა სრულიად საფეხბურთო საქართველო!

ერთმა კლუბმა მაინც თქვას, თუნდაც ერთმა წინასაარჩევნო ბანაკმა, რომ არ ენდობა ვაჟა ჩხაიძის სიტყვას!

გასაოცარი ფაქტია ფეხბურთში და არა მხოლოდ საქართველოში!

აი, ამიტომ ვუწოდებთ ვაჟა ჩხაიძეს თანამედროვე ქართული ფეხბურთის სინდისს.

აი, რას გვწერდა სამი წლის წინ, ჩვენი შეკითხვის პასუხად. სფფს გენერალური მდივანი ბატონი დავით კვინიკაძე:

„ბატონი ვაჟა ჩხაიძე უდიდესი პროფესიონალია, იგი მომავლის საფეხბურთო პიროვნებაა.

ჩვენ დავამატებდით — Rcnaissencc-mann dcs kunftigcn Fubdalls!

## სფფ-ს მომავალი კონგრესის შესახებ

ბევრი კარგი ითქვა ბატონ ვაჟა ჩხაიძეზე, ბევრი საბუთი კი სფფ-ს ხელმძღვანელობას და მის ურთიერთობას წარმოაჩენს და ვშიშობთ ეს ზედმეტი ჭორების საფუძველი არ გახდეს, რაც სარგებლობას არ მოუტანს ქართულ ფეხბურთს.

ამიტომ ამ წერილს ასე დავამთავრებთ:

— დიახ, ბევრი კარგი ითქვა ბატონ ვაჟა ჩხაიძეზე, რაც მან თავისი ნიჭითა და შრომით მოიპოვა, მაგრამ უკეთესი იქნება რომ ყველა ეს სფფ პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანიის გამო არ თქმულა.

უმჯობესია, თავად ბატონმა გენერალურმა მდივანმა თქვას, თუ დარჩა რამე თანამდებობა სფფ-ში, სწორედ მისი თანდასწრებით რომ არ შეეთავაზებინოს ბატონ ნოდარ ახალკაცს ბატონი ვაჟა ჩხაიძისათვის! და ხომ ყოველთვის უარს ღებულობდით, ბატონო გენერალურო მდივანო? და თქვენ ხომ ყოველთვის ასე ეუბნებოდით პრეზიდენტს: „დამიჯერე, ეგ აქ არ მოვა. ეგ თავისუფალი კაცია!"

ბატონ ნოდარ ახალკაცთან და ბატონ დავით კვინიკაძესთან ბატონი ვაჟა ჩხაიძის ურთიერთობა თავიდანვე ურთიერთპატივისცემის ფონზე მიედინებოდა, მაგრამ არა მდორედ. საკმარისია გავიხსენოთ 1991 წელი, როცა სწორედ ვაჟა ჩხაიძემ აიძულა სფფ მოეწვია რიგგარეშე ყრილობა, რათა მას გადაეწყვიტა გუნდების უკანონო დამატების საკითხი! დიახ, ბატონი ვაჟა ჩხაიძის პიროვნება აბსოლუტურად განსხვავებული მენტალიტეტისა გახლავთ. ეს ხომ ყველამ იცის.

ახლა კი თავად ბატონ ვაჟა ჩხაიძეს მოვუსმინოთ.

***ფ.ბ.*** — კვლავ ძველ პოზიციაზე დგახართ სფფ-ში მუშაობასთან დაკავშირებით?

***ვ.ჩ.*** — (იცინის) რაღა დროს ჩემი შეცვლაა... მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს სიმღერას ვმღეროდი და ეს სიმღერა ნელნელა ესმის კიდეც ჩემი ქვეყნის ყურებს.

***ფ.ბ.*** — მერედა, სფფ.ში მუშაობა გამორიცხავს ამას?

***ვ.ჩ.*** — დიახ. ხომ გახსოვთ, კატონმა საშინლად გაკიცხა კეისრის მოწინაალმდეგე პომპეუსის ბანაკში მისული ციცერონი. „შენ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდი სამშობლოსა და მეგობრებს, მხარი რომ არავისთვის დაგეჭირაო". კატონივით ვთვლი, რომ ციცერონის კანონიერი წნეხი, ჯანმრთელი მოქალაქეობრივი წნეხი აკლია ახლა მთელ ქართულ ფეხბურთს. ჯერ ეს ინსტიტუტი უნდა ჩამოყალიბდეს, ძვალსა და რბილში გაგვიჯდეს, შავ-თეთრ აზროვნებას გადავეჩვიოთ, ვაჟკაცობა დავიბრუნოთ და თუ გვიწერია, მომავალში სასურველი ჩაესხმება ამ ლამაზ ჭურჭელში.

***ფ.ბ.*** — სამშობლოსაგან განაწყენების გრძნობა ხომ არ გაქვთ?

***ვ.ჩ.*** — ჩემი ყმაწვილკაცობის გმირი ალუდა იყო, არის ასეთი ქართველი გმირი. ალუდას ცხოვრების ფინალი მოსცებდა ყოველთვის. ალუდა ქეთელაური იყო, გაიუს გრაკხუსი კი არა!

დანარჩენს, ალბათ, თავად ბატონი ვაჟა ჩხაიძე მოახსენებს მასმედიას უახლოეს მომავალში.

პატივისცემით,

**ფკ მრეტები თბილისის პარტნიორთა საბჭო**
**I.V. ფრიდრიხ ბოიმელ**

## «ლელოს» რედაქციისაგან:

***„დინამო" — „მრეტების" დავა, როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ხელახლა აბობოქრდა და იურიდიულ დავაში გადაიზარდა, რასაც საქმის სასამართლოში განხილვა მოწმობს. სასამართლომ კი ბევრი რამ სრულიად ახლებურად წარმოაჩინა.***

***მკითხველთა თხოვნით, ვაქვეყნებთ თბილისის ვაკის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აქვე დავძენთ, რომ ამ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი გერმანულმა მხარემაც წარმოადგინა რედაქციაში, მაგრამ „დინამოს" ადვოკატმა ი. ხუციშვილმა მიიჩნია, რომ ასლი სრულიად არ ეთანხმება დედანს. რედაქცია იძულებული გახდა უშუალოდ ვაკის სასამართლოდან მიეღო დედნის ასლი.***

## გადაწყვეტილება

**საქართველოს სახელით**
**ქ. თბილისის ვაკის რაიონის სახალხო სასამართლო**

**თავმჯდომარე** 3. **ბაგუა**, ნაფიცი მსაჯულები **ი. ბახტაძე** და **ლ. მურვანიძე**, მდივანი **რ. დურგლიშვილი**, ადვოკატის **ი. ხუციშვილის** მონაწილეობით განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე ქალაქ თბილისში 13 ივლისი 1998 წელს საქმე სარჩელის გამო.

შპს ფეხბურთის კლუბ „დინამოს", მოპასუხეები — ფეხბურთის კლუბ „მრეტებთან" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან — კონტრაქტის ბათილად ცნობისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დადგენილების გაუქმებისა და ფულადი კომპენსაციის გადახდის შესახებ — სასამართლომ **გამოარკვია**:

შპს ფეხბურთის კლუბ „დინამომ" აღძრა სარჩელი გერმანული ფირმა რუდოლფ მენდე CmbH-ს ფილიალი საქართველოში ფკ „მრეტების" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ 1992 წლის 11 ივლისის მრავალმხრივი კონტრაქტის №კ-ოფ3 ბათილად ცნობისა და ამ კონტრაქტზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილების გაუქმების შესახებ, სფფ-ს მიერ შპს ფკ თბილისის „დინამოსათვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის გადახდის გამო, იმ მოტივით, რომ კონტრაქტის მე-2 პუნქტი შესრულებულ არ იქნა დადგენილ დროს და სფფ დადგენილება გადმოტანილ იქნა უქმე დღეს.

მოპასუხეები — ფკ მრეტების პრეზიდენტი ი.ქავთარაძე სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო სხდომაზე, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ სხდომაზე და განმარტა, რომ მას უფლება არა აქვს სარჩელთან დაკავშირებით აზრი გამოხატოს მათ დაუსწრებლად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, მათთვის ცნობილი იყო სხდომის დღე. მათი გამოუცხადებლობით საქმის განხილვა გაჭიანურდა, გამოუცხადებლობა სასამართლომ არასაპატიოდ ჩათვალა და გადაწყვიტა სარჩელის განხილვა მათ დაუსწრებლად.

სასამართლოს სარჩელის მოთხოვნა კანონიერად მიაჩნია და ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებითა და მხარის განმარტებით გამოირკვა, რომ ფეხბურთელ გ. ქინქლაძესა და ფკ „დინამოს" შორის იყო 1992 წლის 1 ივლისის ორი წლის ვადით გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მოქმედების პერიოდში, ე.ი. ათი დღის შემდეგ, 1998 წლის 11 ივლისს, ახალი კონტრაქტის გაფორმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

სასამართლოს მიერ გამოთხოვილ საგადასახადო ინსპექციაში კოოპერატივ ფკ „მრეტების" დოკუმენტაციაში, დეკლარაციებისა და სხვათა მასალების მიხედვით არ დასტურდება და გამორიცხულია კიდეც 1992 წლის 19 აგვისტომდე „მრეტების" ანგარიშსწორების ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთის მოხვედრის შესაძლებლობა. 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის §1-ის მოთხოვნით „დინამოს" მიერ გადარიცხვის წესით ერთი მილიონი მანეთის გადახდის და შესაბამისად „მრეტების" ანგარიშსწორების ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთის მოხვედრის დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არსებობს და მოპასუხეებმაც არ წარმოადგინეს.

აღნიშნული საბუთის წარმოდგენის შესახებ ადვოკატ ი. ხუციშვილის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე „მრეტების" პრეზიდენტის ი. ქავთარაძის მიერ 1998 წლის 19 მაისს მიღებული და ხელმოწერილია. §1-ის შეუსრულებლობის გამო ამავე კონტრაქტის 1.2-ეს პუნქტის შესაბამისად 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტი ჩაითვლება გაუქმებულად. გაუქმების ქვემდებარეა ყველა ის გა-

იხ. მე-3 გვ.

(პირველი გვერდიდან)

დაწყვეტილება თუ დადგენილება, მათ შორის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება, რომელიც მასზე დაყრდნობითაა მიღებული.

სადავო 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის მე-5 პარაგრაფის მიხედვით კონტრაქტით გათვალისწინებული სადავო საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ კონტრაქტთან დაკავშირებული დავა სამოქალაქო სახელშეკრულებო დავაა და იგი სახელშეკრულებო სამართლით რეგულირდება, რის განხილვაც სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, სასამართლოს ქვემდებარეა და განსჯადია. აღნიშნულის შესახებ საკითხი შესწავლილია და სათანადო დასკვნით წარმოდგენილია ქ. პროკურატურის 1997 წლის 7 აგვისტოს №8-გ და ფრიდრიხ ბოიმელის სახელზე ქალაქის პროკურატურის 1997 წლის 23 აგვისტოს №8-37-97 პასუხით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ იყო უფლებამოსილი ფკ „მრეტების" საჩივარი მიეღო, მით უფრო, სადავო კონტრაქტში იგი მხარედაა წარმოდგენილი, სადაც მოჩივან „მრეტებისგან" კონტრაქტით გათვალისწინებული ასი ათასი მანეთი აქვს მიღებული. ამ მხრივაც 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება უნდა გაუქმდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არ გაითვალისწინა და არ გაერკვია, რომ ერთი პირის საწარმო „მრეტების" რეგისტრაციის პერიოდში და მას შემდგომ, დამოუკიდებლად იყო და ფუნქციონირებდა კოოპერატივი „მრეტები". საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ 1993 წლის 30 მარტამდე კოოპერატივი „მრეტების" იურიდიული სამართლებრივი ფორმა უცვლელია და არც მის წესდებაშია რაიმე ცვლილება შეტანილი, რომ ერთი პირის საწარმო „მრეტები"-ს უფლებამონაცვლეობის შესახებ საბუთები არ არის და არც იძებნება. უფლებამონაცვლეობის შესახებ არ დასტურდება და არაფერია აღნიშნული თვით ერთი პირის საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მუდმივ მოწმობაშიც. უფრო მეტიც — აღნიშნული მოწმობით არ დასტურდება დამფუძნებლის ვინაობა, რომ ეს ერთი პირის საწარმო ვაჟა ჩხაიძეს ეკუთვნის. გარდა ამისა, სადავოა №კ-ოფ3 კონტრაქტის, როგორც არამატერიალური აქტივის არანაირი საბუთი არ არსებობს და შესაბამისად არც მისი ვინმეზე გადაცემის შესაძლებლობა დასტურდება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია რომ შპს ფკ „მრეტები" არ წარმოადგენს კოოპერატივ „მრეტების" უფლებამონაცვლეს, მით უფრო, გამორიცხულია და არ დასტურდება კოოპერატივ „მრეტების" იურიდიული უფლებამონაცვლეობის გზით ეპს-სთვის რაიმე მატერიალური და არა მატერიალური ქონების, მათ შორის სადავო 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტის გადაცემის შესახებ.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანული ფირმა რუდოლფ მენდე CmbH-სათვის შპს-ის დამფუძნებლის ვაჟა ჩხაიძის მიერ 1995 წლის 6 ივლისიდან თავისი წილის და უფლებამოვალეობის სრულად 100%-ით უპასუხოდ გადაცემა არ გულისხმობს ვაკის რაიონის გამგეობის 1992 წლის 13 მაისის №211/4-03 განკარგულებით რეგისტრირებულ ეპს „მრეტების" ქონების გადაცემას, რადგან ეპს „მრეტები"-ს „სახელმწიფო რეგისტრაციის მუდმივ მოწმობაში" დამფუძნებელ მესაკუთრეს ვაჟა ჩხაიძე არ წარმოადგენს. ვ. ჩხაიძე აგრეთვე არსად არ ფიგურირებს სახელმწიფო რეგისტრაციის განუყოფელ ნაწილში — ვაკის გამგეობის №211/4-03 განკარგულებაშიც.

რიგი გარემოების გამო გერმანული ფირმის რუდოლფ მენდე CmbH-ს ფილიალი საქართველოში ფკ „მრეტები" წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 მრავალმხრივი კონტრაქტზე უფლებების გამო შეტანილი საჩივარს მიმართ.

სფფ-მ საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 1997 წლის 2 იანვარს — საქართველოში სადღესასწაულო უქმე დღეს ცალმხრივად განიხილა არასათანადო მომჩივნის — უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფირმა რუდოლფ მენდე CmbH-ს ფილიალის ფკ „მრეტების" საჩივრის და მიიღო დადგენილება.

საყურადღებოა, რომ დადგენილებას ხელს აწერს სფფ-ს გენერალური მდივანი, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა და არც მის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს სსკ 152 მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის უფლებები, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნები 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტის №კ-ოფ3 ბათილად ცნობისა და ამავე კონტრაქტზე დაყრდნობით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება — გაუქმების შესახებ სრულად საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება სსფ-ს მიერ შპს ფკ თბილისის „დინამოსათვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის გადახდას, უარი ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ 197-198 მუხლებით

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ფეხბურთის კლუბ „მრეტებს", ფკ „დინამოს" ფეხბურთელ ქინქლაძესა და სფფ შორის 1992 წლის 11 ივლისის დადებული კონტრაქტი №კ-ოფ3 ბათილად იქნებს ცნობილი. შესაბამისად გაუქმებული იქნეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება. სფფ-ს მიერ შპს ფკ თბილისის „დინამოსთვის" მიყენებული „მორალური" და მატერიალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის გადახდის ნაწილში უარი ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ამავე რაიონის სასამართლოს მეშვეობით.

| | |
|---|---|
| მოსამართლე | ვ. ბაბუა, |
| მსაჯულები: | 1. მ. ბახტაძე |
| | 2. ლ. მურვანიძე |

***„ლელოს" რედაქციისაგან: როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საკასაციო საჩივარი სასამართლოში არავის შეუტანია.***

## „აიაქსმა" ფიფაში იჩივლა

„ლელო" იტყობინებოდა იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც ჰოლანდიურ კლუბ „აიაქსს" და ძმებ დებურებს შორის მოხდა: ტყუპებს მტკიცედ განუზრახავთ მშობლიური კლუბის მიტოვება, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით მათ ამ გუნდში 2004 წლამდე უნდა ითამაშონ. საქმე ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის საარბიტრაჟო კომიტეტმა განიხილა და იგი „აიაქსის" სასარგებლოდ გადაწყვიტა. ძმები მაინც არ ცხრებიან და ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტის გაუქმებას მოითხოვენ. (მათ კატალონიურ კლუბში თანამემამულე მწვრთნელი ლუის ვან გაალი ეპატიჟება).

კონფლიქტს სამუდამო წერტილი რომ დაესვას, „აიაქსმა" ფიფას მიმართა — მტყუან-მართალი გაგვირჩიეთო.

## ლინეკერი ჰოდლის წინააღმდეგ

**ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი გარი ლინეკერი ამ ბოლო ხანს ხშირად აკრიტიკებს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს გლენ ჰოდლს, საქმე ისაა, რომ ჰოდლმა გამოსცა წიგნი, სადაც ნაკრების პრობლემებზე საუბრობს. შეეხო რა პოლ გასკოინს, მწვრთნელი წერს: „გაიგორა, რომ ნაკრების მიღმა დარჩა, გაზამ საკუთარი თავის კონტროლი დაკარგა და ლოთობას მიჰყო ხელი... სამწუხაროდ, ამ სენით სხვა ფეხბურთელებიც (მერსონი, ადამსი) არიან დაავადებულნი. „წიგნის სწორედ ეს ადგილი არ მოეწონა ლინეკერს: „პირადად მე მწვრთნელთან კონფლიქტი არასდროს მქონია და მიმაჩნია, რომ მის მიერ ფეხბურთელის საჯაროდ გაკრიტიკება არასწორია. ჰოდლის საქციელმა გამაოგნა — მას, უბრალოდ, არ სჭირდებოდა ასეთი რამეების თქმა... არც ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის პოზიციაა სწორი: მას არ უნდა მიეცა უფლება ჰოდლისთვის გამოექვეყნებინა ასეთი წიგნი. წარმომიდგენია, რა დონეზე გააბრაზებდა ეს ნაკრების მოთამაშეებს. როგორ აეწყობა ფეხბურთელებისა და მწვრთნელის ურთიერთობები მომავალში, ძნელი სათქმელია, ასეთი საქციელი ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს არ ეკადრება".**

# იოქენ საბო: ქართველებთან მაგრი ამხანაგური კია, მაგრამ პრინციპული

(პირველი გვერდიდან)

ვად, უძლიერესი შემადგენლობა ჰყავთ გამოძახებული, აი, საქართველოს ნაკრებს კი, გავიგე, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება — მაგალითად, მოსკოვის ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია. თუმცა, ვნახოთ, რამდენიმე საათში ჩვენი ბიჭები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან კიევს ჩამოფრინდებიან და როცა თავს მოვიყრით, მაშინ გამოჩნდება, რა შემადგენლობით გავალთ უკრაინელების წინააღმდეგ.

● ***სამწუხაროდ, ცუდი ამბავი გავიგე: ინგლისის მეორე დივიზიონის გათამაშების მესამე ტურში „ფულჰემ" — „მანჩესტერ სიტის" მატჩში, ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში კახა ცხადაძეს მეტოქე დაეჯახა, დაცემისას მას მუხლი შეუბრუნდა და მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. როგორც გაირკვა, ჩვენიანს უწინდელივით ჯვარედინი იოგი გაუწყდა. ამ დღეებში ცხადაძეს ოპერაციას გაუკეთებენ და როგორც მინიმუმ, ნახევარი წელი გაუცდება. ეს დიდი დანაკლისია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის — დაცვის ხაზი ისედაც გამაგრებას საჭიროებდა, ახლა კი, ალბათ, დიდი პრობლემების გადალახვა მოუწევს გუცაევს. გარდა ცხადაძისა, კიევში ვერ ჩამოვლენ რადიკულიტიანი გოგა გახოკიძე და მხარში ტრავმამიღებული ზაზა ჯანაშია.***

— და მიუხედავად ამისა, უკრაინელებს ჩვენი უნდა ეშინოდეთ, ძლიერი ნაკრები გვყავს. ახლა ნაკრებში დიდი კონკურენციაა და ტრავმირებული ფეხბურთელები უმტკივნეულოდ შეიცვლებიან. თანდათან ბიჭები პროფესიონალები ხდებიან და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი გუნდი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ითამაშებენ. მთავარია, მოთმინება და ხელის შეწყობა, შედეგი კი აუცილებლად მოვა.

გუშინვე სასტუმრო „რუსის" ფოიეში შევხვდი საქართველოს ნაკრების მომლოდინე ალექსანდრე იაშვილს. იგი კარგ ხასიათზე იყო — გასულ კვირას მეორე ბუნდესლიგის ხუთ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს, ხოლო შაბათს უკვე ბუნდესლიგაში გადასულმა მისმა „ფრაიბურგმა" პირველივე ტურში „ბოჰუმთან" გასვლით მატჩში გამარჯვება იზეიმა, თანაც გადამწყვეტი გოლი ქართველ ფორვარდს გაუტანია.

— ეს ჩემთვის ღირსსახსოვარი მოვლენა მატჩის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე მოხდა, როცა „ფრაიბურგი" მინიმალური ანგარიშით იგებდა და მასპინძლები გააფთრებით გვიტევდნენ. ამ დროს სწრაფი კონტრშეტევა განვახორციელეთ. „ბოჰუმის" საჯარიმო მოედანში თანაგუნდელებმა ბურთი მომაწოდეს, როდესაც მცველები ჩემსკენ გამოემართნენ ე.წ. „პოდსებია" გავაკეთე ანუ ბურთი დავმალე და მეკარესთან პირისპირ გავედი. როცა დავინახე ჩემსკენ დაიძრა, მას თავზე გადავუგდე ბურთი. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული — პირველი გოლი ბუნდესლიგაში!.. ამის შემდეგ, მოწინააღმდეგე გუნდის ლიდერმა კუნცმა, მართალია, გოლი გაგვიტანა, მაგრამ მეტის გაკეთება მასპინძლებმა ვერ მოახერხეს და ჩვენ სამი ქულა წამოვიღეთ ფრაიბურგში, სადაც ადგილობრივი გულშემატკივრების მთელი არმია დიდი სიხარულით დაგვხვდა.

● ***ბუნდესლიგის მეორე ტური უკვე შაბათს, 22 აგვისტოს გაიმართება, ე.ი. თბილისში ჩამოსვლას ვეღარ მოასწრებ?***

— ეგრეა. კიევში ორი საათის წინ ჩამოვფრინდი, 19-ში კი უკრაინასთან მატჩის შემდეგ დაუყოვნებლივ ფრაიბურგს გავემართები და ლევერკუზენის „ბაიერთან" შეხვედრისათვის მოვემზადები.

● ***კრისტოფ დაუმს კარგად ემახსოვრები და, ალბათ, პერსონალურ დარაჯს მოგიმაგრებს.***

— ჰო, შარშან ლევერკუზენში ლამაზი გოლი გავიტანე და თუმცა „დინამო" დამარცხდა, მაინც კმაყოფილებით ვიხსენებ იქ სტუმრობას. 22-ში შევეცდები ჩვენი დინამოელების ჯავრი ვიყარო. სხვათა შორის, მწვრთნელმა ფინკემაც ეს მითხრა კიევში გამოფრენის წინ „ბაიერთან" შენი დიდი იმედი მაქვსო.

● ***და არამარტო ფინკეს, რაკი გამოგიძახა, გუცაევსაც, ეტყობა, სათვალავში ჰყავხარ, თუმცა, კონკურენცია ნაკრებში ძალიან მაღალია.***

— ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს ნაკრებში თამაში, კონკურენციის კი არ მეშინია. მწამს, რომ შემიძლია სარგებლობა მოვუტანო ჩვენს ნაკრებს.

კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ, მერე კი ბარისპულის აეროპორტისკენ გავემართეთ საქართველოს ნაკრების დასახვედრად. ჩვენი ინფორმაციით, იქვე, აეროპორტში, თავს მოიყრიდნენ ინგლისიდან, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან ჩამოფრენილი ქართველი ლეგიონერებიც. დღეს ბიჭები დაისვენებენ, ხვალ კი კიევის ცენტრალური სტადიონის მინდორზე წაივარჯიშებნენ, სადაც ზეგ, როგორც ეტყობა, დიდ ფეხბურთს ვიხილავთ.

კიევი, 17 აგვისტო

## ისევ პოლონურ ფეხბურთზე

***პოლონეთის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბები კვლავ გაფიცულნი არიან და გასულ შაბათ-კვირას ისევ ჩაიშალა ეროვნული ჩემპიონატის ტური.*** შეგახსენებთ, რომ ქვეყნის სპორტის მინისტრმა ამ ოთხი თვის წინათ შეაჩერა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლება-მოსილება, მაგრამ ფიფა პოლონურ კლუბებსა და ნაკრებებს დისკვალიფიკაციით დაემუქრა, ამიტომ სპორტის მინისტრი იძულებული გახდა თავისი ბრძანება გაეუქმებინა.

გასულ პარასკევს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიან ჯუროვიჩმა სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ამცნო, რომ სპორტის მინისტრის დებსკის ინიციატივით ნოემბერში ნავარაუდევია ჩატარდეს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც ხელახლა აირჩევს პრეზიდენტს. ჯუროვიჩმა საფეხბურთო კლუბებს მოუწოდა წინ აღუდგნენ მინისტრის განზრახვას. არადა,პოლონური კლუბები მეორე კვირაა გაფიცულნი არიან ეთადერთი მოთხოვნით — გადადგეს ფედერაციის პრეზიდენტი.

„ჩვენ გავიფიცეთ", ვინაიდან ვითხოვთ მარიან ჯუროვიჩის გადადგომას. ეროვნული ჩემპიონატის მატჩები არ ჩატარდება, სანამ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება" — ნათქვამია საფეხბურთო კლუბების მიმართვაში პრეზიდენტისადმი.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### თასების თასი — საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები

***პარტიზანი (იუგოსლავია) — დინამო (თბ., საქართველო) 2-0***
ბიეკოვიჩი (18), ილიჩი (34)

***კოპენჰაგენი (დანია — ყარაბაღი (აზერბაიჯანი) 6-0***
მ. ნილსენი (2), ტორნიგერი (6), პ. ნილსენი (13,40). გოლდბეკი (20), ფალხი (26).

***ვადუცი (ლიხტენშტეინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) 0-2***
სტავრუმი (9), ვიბრანი (67)

***რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2-0***
ვიდოევიჩი (32), სუმნიკი (90)

***ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) 5-1***
1-0 ჩელესტინი (28,პენ.), ოვანესიანი (36), 2-1, 3-1, 4-1 ჩელესტინი (47, 59, 70), 5-1 კავინი (57)

***კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) 2-1***
1-0 ფლანაგანი (20,პენ.), 2-0 კუჰლანი (42), 2-1 რეუტი (90)

***ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) 1-2***
0-1 სპოლაირიჩი (17), 1-1 სტუმბრისი (38), 1-2 ხარალამბო (90)

***აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) 1-5***
1-0 ზეგო (25), 1-1 სტრუპარი (30), 1-2 ოლივიერი (35), 1-3 ბენიამინი (40), 1-4 ოლარე (65), 1-5 ჰორვა (79)

***ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) 0-2***
ნისმი (40), სალი (60)

***ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) 8-1***
1-0 ივანოვი (8), 2-0 ბორისოვი (23), 3-0 ივანოვი (32), 4-0 დონევი (42), 5-0 ბორისოვი (44), 5-1 დემენკოვეცი (49,პენ.), 6-1 რადუკანოვი (52), 7-1 ტოდოროვი (85), 8-1 ბორისოვი (88)

***ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) 4-2***
0-1 ტანასიკი (60), 1-1, 2-1, 3-1 ბულდერსი (61, 87, 88), 4-1 მაგდი შაუსკასი (89), 4-2 გოლფასონი (90)

***გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) 2-6***
0-1 საბაუ (13), 1-1 კრაჰენი (38), 1-2 პანჩუ (64), 1-3 დულჩა (66), 1-4 სტანჩი (69), 2-4 კრაჰენი (72), 2-5 ლუპუ (77, პენ.), 2-6 მუტიჩა (82).

***ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) 0-1***
მაკელი (21)

***ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) 4-0***
კრიჟალოვიჩი (38), პრჟერადა (56), სობოცინსკი (62, 75)

***გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) 1-3***
1-0 ოლსენი (8), 1-1 კენესეი (17), 1-2 პრესისინგერი (19), 1-3 შეკერეში (90)

***გლენტორანი (ჩრ.ირლანდია) — მაკაბი (ჰ, ისრაელი) 0-1***
ნიზრაჰი (23)

***ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 0-1***
ურლაკი (76)

## რეჰაგელი 60 წლისაა

როცა, ამას წინათ ოტო რეჰაგელი 60 წლისა გახდა, მას მილოცვა, ცხადია, მრავალ სხვასთან ერთად, გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმაც გაუგზავნა. რეჰაგელმა განაცხადა, რომ იგი თავს 50 წლის კაცად გრძნობს და აპირებს ბელგიელ რაიმონ გუტალსივით იმუშაოს, რომელმაც 71 წლის ასაკში მარსელის „ოლიმპიკს" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა.

კითხვაზე, გახდება თუ არა გერმანიის ნაკრების მწვრთნელი, რეჰაგელმა უარყოფითად უპასუხა, ეს საკითხი მას საერთოდ არ აინტერესებს.

## 20 წელი დაიკლო, მაგრამ სამშობლო მოენატრა

**როგორც 65 წლის განთქმულმა ინგლისელმა სპეციალისტმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომელიც ეს-ეს არის ჩაუდგა სათავეში „პსვ ეინდჰოვენს", იგი თავს 45 წლის მამაკაცად გრძნობს.**

**მიუხედავად იმისა, რომ „ეინდჰოვენის" მესვეურებს მასთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება სურდათ, რობსონმა მაინც მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.**

**— დიდი ხანია სამშობლოში დაბრუნებაზე ვოცნებობ, ამჯერად უკვე სამუდამოდ. ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისში უკანასკნელად ვმუშაობდი. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს სამწვრთნელო კარიერის დამთავრებას ვაპირებდე, ჯერ ახალგაზრდად ვგრძნობ თავს.**

**„ეინდჰოვენში" რობსონმა დიკ ადვოკაატი შეცვალა, რომელიც, როგორც ცნობილია, „გლაზგო რეინჯერსს" ჩაუდგა სათავეში.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
# I ჯგუფი II ტური

**არსენალი (თბილისი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 0-0**
*არსენალი:* ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე, გველესიანი, მ. თევზაძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია (სულაძე, 46), გ. ლომიძე, კორღალიძე (ამირიძე, 71), კაკაშვილი (ყუფარაძე, 74), ტარიელაშვილი.
*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი (კვიციანი, 89), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, ბოკერია (ზ. გვაზავა, 59), აბაზაძე, კაპანაძე, გ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, (ღამბაშიძე, 82), გოჩაშვილი, გ. გვაზავა.
*გააფრთხილეს:* აბაზაძე, მენთეშაშვილი.
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

**იბერია (სამტრედია) — დინამო (ბათუმი) 3-1**
*იბერია:* ლაბაძე, ნიკოლეიშვილი (სადილიანი, 71), მიქელთაძე, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ბრეგვაძე, ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე (კობესაშვილი, 84), დარასელია, მუმლაძე (ივეჩიანი, 68).
*დინამო:* ტოგონიძე, გოგიტიძე, აფხაზავა, სიჭინავა, მაქაცარია (კანტიძე, 54). ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ღლონტი (რუსია, 46), მაჭუტაძე, ტუღუში, გადელია.
*გოლები:* 1-0 ხუჭუა (34, პენ.), 2-0 ვ. გიგიაძე (58), 2-1 მაჭუტაძე (67), 3-1 დარასელია (88).
*გააფრთხილეს:* ხუჭუა.
*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

**ტორპედო (ქუთაისი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 5-1**
*ტორპედო:* ასლანაძე, ი. ვაშაკიძე, ი. მაღლაკელიძე, თურმანიძე (ჩხაბერიძე, 79), შეყრილაძე, კვეტენაძე (გ. ყიფიანი, 46), ჩხეტიანი, ვაჩიბერაძე, ჯინჭარაძე, იონანიძე, დ. ჯანაშია (მეტრეველი, 76).
*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, ტორჩინავა, ახვლედიანი, გიორგობიანი (გ. პაპავა,82), მ. ქობულაძე, სუხიაშვილი (ლაღანიძე, 46), ნოზაძე, კალანდაძე (კრასსოვსკი, 81), შალამბერიძე, წივწივაძე, ე. გვასალია.
*გოლები:* 1-0 ჯანაშია (5), 2-0 ვაშაკიძე (19), 2-1 წივწივაძე (26), 3-1, 4-1 იონანიძე (43, 66, პენ.), 5-1 ვაჩიბერაძე (78).
*გააფრთხილეს:* წივწივაძე, ჯანაშია.
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სამგურალი (წყალტუბო) — გორდა (რუსთავი) 1-0**
*სამგურალი:* სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოღუაშვილი (დარსაძე, 65), ჭელიძე, მახვილაძე, ხაჭაპურიძე (ძაგნიძე, 46), ღონლაძე (უგულავა, 64), ფაიქიძე, თევდორაძე, კ. ჯანაშია.
*გორდა:* მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, მჭედლიძე, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ლაბაძე, შ. კაპანაძე (დ. მენთეშაშვილი, 33), კ. ალადაშვილი.
*გოლი:* ფაიქიძე (42, პენ.).
*გააფრთხილეს:* ღონლაძე, ფრანგიშვილი, ი. ალადაშვილი (გორდას მთავარი მწვრთნელი).
*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**ლოკომოტივი (თბილისი) — ოდიში (ზუგდიდი) 3-0**
*ლოკომოტივი:* ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (მინდიაშვილი, 69), მარღიშვილი, მელქაძე, დაუშვილი (კაციაშილი, 46), გოდერძიშვილი, ქორიძე (კოტორაშვილი, 83).
*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ჯაბუა, კვეკვესკირი (იოსავა, 46), ტყემალაძე (ვაზგანავა, 46), კაკულია, თოლორაია, ტაბაღუა (ჯოჯუა, 68), ენდელაძე.
*გოლები:* ხორგუაშვილი (22), მარღიშვილი (24, პენ.), მინდიაშვილი (82).
*გააფრთხილეს:* ქორიძე, ტყემალაძე.
*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი)

**დილა (გორი) — სიონი (ბოლნისი) 2-0**
*დილა:* მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, სამხარაძე, გოჩაშვილი (მაისურაძე,46), თაყაძე, მარეხაშვილი (გუდურაშვილი, 87), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, ჩიტაია (ახალკაცი, 72), შატაკიშვილი.
*სიონი:* დალაქიშვილი, ბერიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, ზ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, პოზოიანი (ვ. სამხარაძე, 62), გაგუა, ჯაგიდისი (ქობელაშვილი, 46), მოსეშვილი.
*გოლები:* კაიდარაშვილი (83, 84).
*გააფრთხილეს:* პოზოიანი.
*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი)

**დინამო (თბილისი) — მერანი-91 (თბილისი) 5-1**
*დინამო:* სოდოლაშვილი, მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, მუჯირი (ალექსიძე, 46), გუჩუა, კიკნაძე, აშვეთია (შენგელია, 76), კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხომერიკი (მელქაძე, 67).
*მერანი:* ლომაია, ივანიშვილი, ალადაშვილი, დავითნიძე (ჯიშკარიანი, 57), დანელია, გეწაძე (დევიძე, 85), ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, კვეტენაძე (ბაჯელიძე, 80), ხუციშვილი, მესხი.
*გოლები:* დავითნიძე (18), აშვეთია (29, 68), ცქიტიშვილი (35, პენ.), ხომერიკი (43, 55).
*გააფრთხილეს:* გუჩუა.
*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

## არსენალი (თბილისი) – ვიტ ჯორჯია (თბილისი) 0-0

მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობამ დიდად მოიწადინა „არსენალის" პირველ საშინაო მატჩზე საზეიმო ვითარება შეექმნა — არმიელებს ხომ I ჯგუფში სადებიუტო შეხვედრა ჰქონდათ საკუთარ ასკ-ს სტადიონზე. სიმღერა თბილისზე, რუსული რომანსები, ცეკვის სოლო ნომერი დაირით, ქიმოშიშვლებული გოგონების მიერ შესრულებული „რეპი". ტაიმებს შორის შესვენებაზე კი უკვე ბოშური ცეკვითაც დავტკბით, რაც საქვეყნოდ ცნობილი საფეხბურთო იმიტატორ ოთარ მამასახლისის შოუს სინთეზთან, მართლაც რომ ორიგინალური რამ იყო. ზეიმს სფფ-ს მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ, ოღონდ, ვიცე-პრეზიდენტი თუ საპატიო სტუმართა ლოჟაში მოკალათდა, გენსეკმა ჩვეულებრივი ტრიბუნა არჩია, სადაც რიგითებთან ერთად თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა კორპუსიც იყო წარმოდგენილი... თვით ფეხბურთმა ვერაფრით გაგვახარა. მანსპინძლები უფრო შემართებით და მონდომებით გამოიყურებოდნენ, მეტი სახიფათო მომენტებიც შექმნეს,

ყველაზე კარგი შანსი კი გველესიანს და მ. მაისურაძეს მიეცათ. სტუმართაგან გვაზავასა და ნოზაძეს შეეძლოთ ესახელებინათ თავი. საბოლოო ჯამში ლოგიკური შედეგისა და მეტად უსახური ბურთაობის მოწმენი დავრჩით. თუმცა, მოდით, გული იმით დავიმშვიდოთ, რომ ჩვენი საიუბილეო X ჩემპიონატი სულ ახლახან დაიწყო და გუნდები შემდგომში მოუმატებენ, სრულყოფილ სახეს მიიღებენ.

## დინამო (თბილისი) – მერანი-91 (თბილისი) 5-1

კარგი იქნებოდა, „დინამო" ბასკებთან განმეორებითი მატჩის წინ ისეთ მეტოქეს გაჯიბრებოდა, რომელიც ერთობ გაუძალიანდებოდა. მაგრამ ერთ დროს საინტერესო და იმედისმომცემი გუნდი დღეს ის აღარაა, რაც ერთორი წლის წინათ იყო. თავი და თავი კი ის გახლავთ, რომ რაც გვაქვს, ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება. „მერანიც" თანდათან იცლებოდა წამყვანი, გამოცდილი ფეხბურთელებისგან, რომელთა უმრავლესობამ საზღვარგარეთს მიაშურა. ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში არც მერანელთა საუკეთესო ბომბარდირმა სულიკო დავითაშვილმა მოისურვა, რომელიც სულ რაღაც 20 წლისაა. ნუთუ ვერაფრით ვერ უნდა ვუწამლოთ ჩვენს ფეხბურთს? განა ასეთ დროს კიდევ სამი თვით უნდა გადაგვეტანა სფფ-ს ყრილობა?

**დათო თავართქილაძე**

## იბერია (სამტრედია) – დინამო (ბათუმი) 3-1

ერთწლიანი შესვენების შემდეგ უძლიერესთა ჯგუფში აღზევებულმა „იბერიამ", ასევე აღზევებით დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი. I ტურში, სტუმრად, ზუგდიდის „ოდიშთან" გამარჯვების შემდეგ უმასპინძლა სუპერთასის მფლობელს ბათუმის „დინამოს".

თამაში ბათუმელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მე-5 წუთზე მეკარის საჯარიმოს გასწვრივ გადელიას მიერ ჩაწოდებულ ბურთს ახლო მანძილიდან ურტყამდა ტუღუში, მაგრამ ლაბაძემ ფეხით შეძლო ბურთის მოგერიება. მალე სამტრედიელებმა თამაში გაათანაბრეს და ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლნენ. თუ არ ჩავთვლით წვრილ-წვრილ სახიფათო მომენტებს, თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში ბათუმელთა საჯარიმოსთან ახლოს მიმდინარეობდა.

27-ე წუთზე ბათუმელთა გრძელი გადაცემა სიჭინავას შეეძლო კარში ზუსტად გაეგზავნა, მაგრამ მცველების მოგერიებულ ბურთს ჩომახიძე დაეუფლა, გრძელი რეიდი განახორციელა, ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ტოგონიძემ იმარჯვა და კუთხურზე გაგზავნა ბურთი. კუთხური ჩომახიძემ ჩამოაწოდა, მაგრამ დარასელია — ხუჭუას კომბინაცია უშედეგოდ დასრულდა.

სამტრედიელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩომახიძე, დარასელია, ხუჭუა. სწორედ დარასელიას ზუსტი პასის შემდეგ ხუჭუა ვერემჩუკმა მოცელა საჯარიმოში და დაზარალებულმა თავად გამოიყენა პენალტი.

57-ე წუთზე დარასელიამ საჯარიმო მოედანში შესანიშნავი პასით ვ. გიგიაძეს დაალაშქვრინა მეტოქის კარი — 2-0.

მეორე გაშვებული გოლის შემდეგ ბათუმელები დამკვიდრდნენ სამტრედიელთა ნახევარზე, შედეგმაც არ დაახანა — 57-ე წუთზე რუსია — მაჭუტაძის ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელმა ეფექტური გოლით დაასრულა — 1-2. შემდეგ ბათუმელთა შეტევებს ქაოსური ხასიათი ჰქონდა. თამაშის მიწურულს კი სამტრედიელთა კონტრშეტევისას მატჩის საუკეთესო მოთამაშემ დარასელიამ ჩინებული გოლი გაიტანა და წერტილი დაუსვა ამ მატჩს.

**გიორგი მინდელი,**
**მიხეილ ქორქოლიანი**

## ტორპედო (ქუთაისი) – კოლხეთი – 1913 (ფოთი) 5-1

ქუთაისელი ფეხბურთელები პირველ საშინაო შეხვედრას ატარებდნენ, ამიტომ ორივე გუნდის კაპიტნებმა კვეტენაძემ და ტორჩინავამ ეროვნული დროშის აღმართვით აუწყა მაყურებელს ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყება.

2500 მაყურებელი „ტორპედოსაგან" მხოლოდ მოგებას ითხოვდა. იმიტომაც, რომ „კოლხეთი" ყველაზე უხერხული მეტოქეა (თბილისის „დინამოსთან" ერთად) ქუთაისელთათვის. თანაც ამ გუნდების თამაშს, ბოლო ორი სეზონია, თან ახლავს საფეხბურთო ინტრიგა. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გამოდგა. მსაჯის სასტვენისთანავე თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი მე-6 წუთზე შექმნა იონანიძემ, ისარგებლა რა მეტოქის მცველთა პოზიციური შეცდომით და დიდებული გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა ჯანაშია, და მანაც ანგარიში გახსნა.

გაშვებული გოლის შემდეგ ფოთელი ფეხბურთელები აშკარად უკეთესად გამოიყურებოდნენ, მაგრამ რაიმე ღირებული მეტოქის კართან არ შეუქმნიათ. მოხდა კი პირიქით. მე-17 წუთზე ვაჩიბერაძემ საჯარმიო დარტყმა განახორციელა და ვაშაკიძემ თავით მეტად ლამაზი გოლი გაიტანა 2-0.

მეორე გოლის შემდეგ ფოთელები უფრო გააქტიურდნენ. „ტორპედო" კონტრშეტევებით პასუხობდა, მაგრამ სტუმრებს არ უჭირდათ მათი განმუხტვა.

26-ე წუთზე ქუთაისელთა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ახვლედიანმა ჩააწოდა, მცველები შეცდნენ და წივწივაძემ გაქვითა ერთი გოლი. მალე კვეტენაძე — ჯანაშიას კონტრშეტევისას ჯანაშია პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ქვაჩახიამ იმარჯვა.

ტაიმის დასასრულს ჯანაშიამ „ვალი დაუბრუნა" იონანიძეს და მასაც არ გასჭირვებია გოლის გატანა 3-1.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა, „ტორპედო" მომენტს მომენტზე ქმნიდა, ჯინჭარაძე, ყიფიანი, ჯანაშია, იონანიძე სახიფათოდ ურტყავდნენ ფოთელთა კარის მიმართულებით.

66-ე წუთზე ჯინჭარაძე — ჯანაშია — ჯინჭარაძის სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ჯინჭარაძე პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან. ქვაჩახია ფეხბეში ჩაუვარდა მეტოქეს, რასაც მსაჯის საეჭვო პენალტი მოჰყვა. პენალტს ფოთელთა პროტესტი და არასპორტული საქციელიც დაერთო. მსაჯმა კვარაცხელიამ აშკარად დაინდო ქვაჩახია. პენალტი ზუსტად გამოიყენა იონანიძემ 4-1.

ტორპედოელთა შეტევები უფრო მწვავდებოდა, ფოთელთა კარს ქვაჩახიას გარდა ძელი და მცველები იცავდნენ. 77-ე წუთზე ვაჩიბერაძემ მაინც შეძლო კარის აღება იონანიძის ზუსტი გადაცემის შემდეგ და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 5-1.

**მიხეილ ქორქოლიანი,**
„ლელოს" საკ. კორესპონდენტი,
ქუთაისი.

## სამგურალი (წყალტუბო) - გორდა (რუსთავი) 1-0

გასულ სეზონში „სამგურალი" და „გორდა" ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. ერთი შეხედვით, ამ გუნდებს წელსაც იგივე ამოცანა უნდა ჰქონდეთ დასახული. რუსთაველებისაგან განსხვავებით, წყალტუბოელებმა წარმატებით დაიწყეს ჩემპიონატი. პირველ ტურებში ფრე თბილისში „მერანთან" და სამი ქულა შინ „გორდასთან" ურიგო შედეგი როდია.

მატჩის დასაწყისშივე მასპინძლები დაეუფლნენ ტერიტორიულ უპირატესობას და მე-5 წუთზე სახიფათოდ დაარტყა ჭელიძემ. ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. ხოლო პირველი საგოლე მომენტი მე-11 წუთზე შექმნა, როდესაც ღონლაძემ ბრძოლაში მეტოქის საჯარიმო მოედანში ზუსტი პასი მისცა ფაიქიძეს და ამ უკანასკნელმა უხერხული დარტყმით ბურთი ძელს მოახვედრა. სტუმრები იშვიათი კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდისას ვარლამ კილასონია პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ საჯარიმოს გარეთ დასწრებაზე ფეხით ითამაშა. ტაიმის შუაში თამაში გათანაბრდა. დასამახსოვრებელი იყო მასპინძლების საჯარიმო დარტყმა 20-25 მეტრიდან — ბურთი ოდნავ ასცდა სტუმართა კარს. ჯარიმას კი თევდორაძე ურტყამდა. ტაიმის მიწურულს ღონლაძეს დასარტყმელ პოზიციაზე გაყავდა ფაიქიძე და ეს უკანასკნელი წააქცია ტარტარაშვილმა. თერთმეტმეტრიანი თავად დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა.

მატჩის მეორე ტაიმი სტუმრება აქტიურად დაიწყეს და მოედნის შუაწელში დაეუფლნენ კიდევაც უპირატესობას. მასპინძლებს საშუალება მიეცათ რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განეხორციელებინათ. „სამგურალს" შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ძაგნიძე — თევდორაძის შეტევა მეკარემ ჩაშალა. აღსანიშნავია სტუმართა ლიდერის კილასონიას მეტად სახიფათო დარტყმა 52-ე წუთზე, ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. მალე კილასონიას მიერ ჩამოწოდებულ კუთხურს თავით ეფექტურად დაუხვდა ბურნაძე და მასპინძელთა მეკარემ ე.წ. მკვდარი ბურთი კვლავ კუთხურზე მოიგერია. ასე, ორმხრივ შეტევებში დამთავრდა ეს მატჩი. „სამგურალმა" ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა — ეს მათი ახალი მწვრთნელის გაიოზ დარსაძის დიდი დამსახურებაა. მისი მოსვლა დაეტყო გუნდს. ფეხბურთის მცოდნე თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ გუნდი შეძლებისდაგვარად სწორ ფეხბურთს თამაშობს. და კიდევ ერთი ფაქტის შესახებ. რუსთაველ მოთამაშეთაგან ყვითელი ბარათი არავის დაუმსახურებია. მაგრამ ეს შეძლო სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა, მსაჯის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის გამო.

ერთი სიტყვით, წყალტუბოს „სამგურალი" აღმავლობის გზაზეა, და ვნახოთ რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს მომავალში.

**გიორგი მინდელი,**
„ლელოს" საკ. კორესპონდენტი
იმერეთის მხარეში

## „დინამოში" შევსება მოდის

უწინ *ლევან მიქაძეს* პერსპექტიულ ახალგაზრდა მცველად იცნობდნენ და მაშინ, როცა ჯერ კიდევ ზუგდიდის „ოდიში" და „სამტრედიაში" გამოდიოდა, ბევრი ქართული გუნდი ეპატიჟებოდა, მან კი აილო და ყველას პოლონეთი არჩია – იქაური უმაღლესი ლიგის კლუბი „შჩეცინი". როგორც შევიტყვეთ, 24 წლის ფეხბურთელს „შჩეცინთან" კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და მას თვალი დაადგა თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ. ამჟამად მიქაძე თბილისშია და, მართალია, ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მატჩში ბილბაოს „ატლეტიკის" წინააღმდეგ ვერ დაეხმარება „დინამოს" (მისი განაცხადში შეყვანა ვერ მოასწრეს), მაგრამ ევროტურნირის მომდევნო შეხვედრაში მას, ალბათ, უკვე ვიხილავთ მინდორზე.

## „მამაჩემისნაირად ვითამაშებ!"



როგორც მოსკოვის ყოველკვირეულ „ფუტბოლის" კორესპოდენტი ვიქტორ ბრანიცკი კიევიდან იუწყება, აქაურ ფეხბურთელებში აღიარება მოიპოვა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვიტალი დარასელიამ.

„რამდენიმე წლის წინათ კიევის არმიელთა კლუბ ცსკა-ში მოვიდა შავთმიანი ყმაწვილი და თქვა, რომ მომავალში ისეთნაირად ითამაშებს, როგორც მისი მამა, 1981 წლის თასების თასის მფლობელი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. უარს ხომ არ ეტყოდნენ მაშინ ვლადიმერ ბესონოვი და ვლადიმერ ლოზინსკი, რომლებიც თავის დროზე მამამისთან მეგობრობდნენ, ერთად თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში. დასაწყისში უმცროსი დარასელია ცსკა-2-ის შემადგენლობაში გამოდიოდა, ახლა ცსკა-1-ის ძირითად გუნდშია".

„ფუტბოლი" აღნიშნავს ვიტალი დარასელიას კარგ თამაშს, მისი კლუბი კი უკრაინის ჩემპიონატში საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტია. ქვეყნის პირველობის გათამაშება ივლისში დაიწყო, პირველი წრე კი ნოემბრისათვის დამთავრდება.

## კრუიფი კვლავ ჭირვეულობს

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა წარმატებით იასპარეზა და ნახევარფინალში გავიდა, გადადგა. არადა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მზად იყო კიდევ ოთხი წლით გაეგრძელებინა მასთან ხელშეკრულება. და მაინც, ჰიდინკმა მადრიდის „რეალში" გადასვლა ამჯობინა.

ტიტების ქვეყანა, ამრიგად, საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ამ პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად ფედერაციას იოჰან კრუიფი მიაჩნდა, მაგრამ იგი სასტიკ უარზეა. მისი თქმით, ყველაზე კარგად ამ მოვალეობას შეასრულებს როტერდამის „ფეიენოორდის" ყოფილი მწვრთნელი ვიმ იანსენი.

# როცა შემოქმედებითი საწყისი ისპობა

**გერმანულ ჟურნალ „შპიგელის“ კორესპონდენტი ესაუბრა ახლო წარსულში ფართოდ ცნობილ ნახევარმცველ გიუნტერ ნეტცერს. 53 წლის ნეტცერი ადრე მენხენგლადბახის „ბორუსიაში“, მადრიდის „რეალსა“ და ციურიხის „გრასჰოპერსში“ თამაშობდა, გერმანიის ნაკრებში 37 მატჩი ჩაატარა, 1972 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.**



გიუნტერ ნეტცერი

● *რატომ გ... ასე უფერულად მსოფლიოს ამ ჩემპიონატში გერმანიის ნაკრები?*

— ჩემი აზრით, გუნდი 4 კრიტერიუმს უნდა ეყრდნობოდეს, პირველი ტექნიკაა: ბურთთან ურთიერთობაში პრობლემები არ უნდა გქონდეს, ამ მხრივ კი ზოგიერთ ჩვენს მოთამაშეს აშკარა ნაკლი აქვს. მეორე ტაქტიკაა: აქ ჩვენ ნამდვილად არა ვართ საუკეთესოთა რიგებში. მხოლოდ ისე ვთამაშობთ, როგორც შეგვიძლია, როგორც ეს ჩვენს მენტალიტეტს შეეფერება. მესამე — დისციპლინაა, მეოთხე — ეფექტიანობა. აქ ჩვენ საკმაოდ მაღალი მონაცემები გვაქვს.

● *ამრიგად, ჩინებულმა გუნდმა თქვენ მიერ ჩამოთვლილ კრიტერიუმებისაგან ორზე მეტს უნდა უპასუხოს, არა?*

— ბუნებრივია, თუ არა და იგი ჟონგლიორების ბედს გაიზიარებს. ისინი მინდორზე იმნაირ ცირკს მოაწყობენ, როგორც სურთ, მაგრამ მაინც ყველაზე ადრე დატოვებენ შეჯიბრებას, რახან სათამაშო წესრიგი საერთოდ არა აქვთ. დარწმუნებული ვარ, რომ სათამაშო და ტაქტიკური თვალსაზრისით ჩვენ, გერმანელები, აშკარად ჩამოვუვარდებით ბრაზილიელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებსა და იტალიელებს. ჩვენ ვერსაოდეს ვამარცხებთ მეტოქეს დამაჯერებლად, დამოუკიდებლად, კონტროლს ვერ ვუწევთ თამაშის მსვლელობას, იღბლის გამოვიგებთ, მთელი ძალის უკიდურესი დაძაბვით, ეს კი მეტად სახიფათო თამაშია სამომავლოდ.

● *რა დავკარგეთ იმ 8 წლის განმავლობაში, როცა მსოფლიო ჩემპიონობა მოვიპოვეთ?*

— თამაშის კულტურა, რითაც ოდესღაც განთქმული ვიყავით. კრისტიან ვიორნსის დაცვითი ყაიდის მოთამაშეები გერმანიაში ყოველთვის იყვნენ, აი, გენიალურები კი გაქრნენ, რომლებიც ნებისმიერი გუნდის თამაშს ჰქმნიან.

● *ამისი მსგავსი მტკიცებიბი მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის შემდეგაც იყო. გავიდა სულ 4 წელიწადი და ფრანც ბეკენბაუერმა მსოფლიო ჩემპიონები გაგვხადა.*

— დიახ, არსებობს სრულიად ნორმალური ტალღისებური უკუსვლა და წინსვლა, მაგრამ ამჯერად გაცილებით უფრო სახიფათო მოვლენასთან გვაქვს საქმე. დღევანდელ გერმანულ ფეხბურთში ძალიან ბევრი კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, იმისთვის, რასაც ისინი აკეთებენ, ძალიან კარგად უხდიან. ბევრ ჩვენს საუკეთესო პროფესიონალს უკვე აღარ შეუძლია წაუძღვეს გუნდებს, მათ არც ადრე ჰქონდათ და არც ახლა აქვთ განსაკუთრებული როლის შესრულების სურვილი. ის, ვინც ადრე გამოცხადდა სუპერვარსკვლავად, ვერასოდეს შეასრულებს სინამდვილეში ამ როლს.

● *ნამდვილად დარწმუნებული ხართ, რომ მეტისმეტი შექება გაზეთებში და მრავალრიცხოვანი ინტერვიუები ესოდენ აღუნებს ჩვენს პროფესიონალებს?*

— ბუნებრივია, ამაში დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ამ თვალსაზრისით მწარე ანგარიშის გასწორებას მოგვთხოვენ. ზოგ მოთამაშეს თავის ღირსებებზე თუ ნაკლზე საერთოდ არა სურს ლაპარაკი, მაშინ, როცა მათ, ანდრეას მიოლერის მსგავსად ჯერაც არ მოუღწევიათ თავიანთ პროფესიაში ნამდვილი სიმაღლეებისათვის. მიოლერი თავისი თამაშის მიმართ აბსოლუტურად არაკრიტიკულია, ცხოვრობს საკუთარ, მკაცრად შემოფარგლულ სამყაროში, რომელსაც არავის აკარებს. მისთვის, ცხადია, სრულიად უსამართლო იყო „გაცვლა“, როცა მექსიკასთან, შეცვლაზე რომ შემოვიდა, ჯერ ფრთაზე დაიწყო თამაში, შემდეგ, როცა ჰესლერმა მინდორი დატოვა, ნახევარდაცვის ცენტრში გადავიდა. როცა შემდეგ ინტერვიუში განაცხადა, ბედნიერი იყო, გუნდს რომ გამარჯვებაში დაეხმარა, მე კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. მიოლერი, ეტყობა, დღესაც ფიქრობს, რომ იმ მატჩში კარგად ითამაშა.

● *როცა ბერტი ფოგტსმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ნაკრების 22 მოთამაშის სია გამოაქვეყნა, მაშინ მას მხოლოდ ერთ რამეს ედავებოდნენ: რატომ არ წაიყვანა საფრანგეთში მეხმეტ შიოლი მიოლერის ნაცვლად?*

— ფოგტსი სულელი კი არ არის. რა თქმა უნდა, იგი სიამოვნებით წაიყვანდა კიდევ ერთ მოთამაშეს, რომელსაც მინდორზე რამის შექმნა შეუძლია. მაგრამ ისეთი "ყმაწვილი" ახალგაზრდა კაცისაგან, როგორიც შოლია, ძნელია მინდორზე რაღაცა დიდ მონდომებას მოელოდე. შიოლი ვარსკვლავად ითვლება არა იმის გამო, რომ თავი გამოიჩინა „ბაიერნში“ ან ეროვნულ ნაკრებში. მას სახელი „ბრავოს“ ტიპის ახალგაზრდულმა გაზეთებმა შეუქმნეს. აი ყველაზე მეტად დღეს ეს გარემოება მაღიზიანებს: შეიძლება ფეხბურთში სახელი გქონდეს ისეთი საქმეების გამო, რასაც ფეხბურთთან რაიმე საერთო არა აქვს.

● *შეიძლება ეს 90-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს. დევიდ ბეკჰემი დაინიშნა „სპაის გიორლზის“ ერთ-ერთ მომღერალ ქალზე და ინგლისის ნაკრებში თამაშობს.*

— ბეკჰემი პატიოსნად თამაშობს ფეხბურთს, იგი მთელ მინდორზე დარბის და იბრძვის. მისი სიყვარული „სპაის გიორლზისათვის“ უკვე შემდეგ ხდება შესამჩნევი. საჭიროა ღირსებების რიგითობის დაცვა.

● *თქვენ კიდევ გახსოვთ ნახევარმცველი გიუნტერ ნეტცერი?*

— მე მყავდა „ფერარი“, ვატარებდი გრძელ თმას და ვმეგობრობდი ქალთან. თუკი ღამეს მიუნხენში ვათევდი და დილის ვარჯიშზე ცოტა დაბნეულად გამოვიყურებოდი, ეს მწვრთნელ ჰენეს ვაისვაილერს ნაკლებად აინტერესებდა. იმიტომ, რომ ეს ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ამბები იყო. მაგრამ მე ცუდად რომ მეთამაშა. ამას უკვე არავინ მაპატიებდა. სტადიონი ხომ თავისებური ღირსების თეატრი იყო — პრიორიტეტები მინდორზე ირკვეოდა, ყველაფერს თამაში წყვეტდა.

● *თუ შეიძლება ისევ ანდრეას მიოლერს დავუბრუნდეთ.*

— დიახ, დავუბრუნდეთ, ყველაფრის მიუხედავად, მე მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაინც მასში ვხედავდი ჩვენს იმედს: თავს ვირწმუნებდი, ეს ის კაცია, ვინც გაგვიმართლებს, საქმეს ბოლომდე მიიყვანს. მაგრამ მიოლერი არის ის, რაც არის. ბერტი ფოგტსი მიულერისადმი სტოიკური დამოკიდებულების გამო სასტიკად დაისაჯა.

● *თუმცა ამას არავინ აიძულებდა.*

— ამის მიუხედავად ვაღიაროთ, რომ ჩვენ ყველას გვქონდა მიოლერის იმედი. იგი ხომ მსოფლიო კლასის ვარსკვლავი უკვე დიდიხანია უნდა გამხდარიყო. იგი ხომ ჩემზე და ოვერატზე უფრო ნიჭიერი,ა თითქმის ისეთივე ტალანტი აქვს, როგორც ბეკენბაუერს. სპრინტერივით სწრაფია, ორივე ფეხით ჯოჯოხეთური სიძლიერით ურტყამს. მას ყველაფერი შეუძლია, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდება, ვთქვათ, ლუქსემბურგელი მცველი, მთელი მისი ვაჟკაცობა სადღაც ქრება, მას არ შეუძლია მეტოქეს სერიოზულად დაუპირისპირდეს.

● *ნაკრებში მარცხი განიცადა ოლაფ ტონმაც. ეს მხოლოდ მისი სუსტი თამაშით უნდა აიხსნას?*

— არა, სისასტიკე მოხდა, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. ტონი თვით ცოტა რამეშია დამნაშავე, სიტუაცია კი ასეთი იყო: ლოთარ მათეუსი შუა ხაზზე არ გამოდგებოდა, შეეძლო მხოლოდ ლიბეროს როლი შეესრულებინა. ორივესთვის კი — ტონისა და მათეუსისათვის, ერთ გუნდში ადგილი არ აღმოჩნდა: ცხოვრება ხომ მკაცრია.

● *მოთამაშეების ეს მუდმივი შეცვლა გუნდის ნამდვილ მდგომარეობას ბუნდოვანს ხდიდა.*

— ფოგტსი ამ შეცვლებს კარგი ცხოვრებით კი არ მიმართავდა. მან მოულოდნელად შეამჩნია, რომ გუნდის თამაში მოიშალა. არავის შეეძლო ლიდერის როლის შესრულება, ეს კი მხოლოდ საფრანგეთში გამოჩნდა.

● *შეიძლება კი ნაკრებმა რაიმეს მიაღწიოს, თუკი ნამდვილი ლიდერები არა ჰყავს?*

— ნამდვილი ვარსკვლავი ფოგტსს, რა თქმა უნდა, არა ჰყავდა. ამიტომ იგი შეეგუა რეალურ მდგომარეობას და განსაკუთრებული უფლებები არც ერთ მოთამაშეს არ მისცა. გერმანიის ნაკრებს საფრანგეთში მხოლოდ ერთი გამოსავალიჰქონდა: როგორმე შეკრული ანსამბლი ყოფილიყო. ეს ფოგტსს კარგად ესმოდა.

● *რით აიხსნება, რომ, ვთქვათ, „ამ შეკრული ანსამბლის“ ისეთმა წევრმა, როგორიც მიხაელ ტარნატია, ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ფრთაზე ბურთიანად პირით ხაზამდე*

მისულიყო და იქიდან ცენტრში ჩაეწოდებინა?*

— ჯერ ერთი, კარგად ორგანიზებული თანამედროვე თავდაცვის დროს ისე იოლი როდი გახლავთ მთელ ფრთაზე წინსვლა და იქიდან კარისკენ ჩაწოდება. და, მეორეც, რახან ამის გაკეთება ესოდენ ძნელია, ჩვენ ერთადერთი რამ ვისწავლეთ, რაც ბირჰოფის განსაკუთრებულ ნიჭიერებას ეყრდნობა. მოთამაშეები ყოველი შესაძლებელი წერტილიდან ბურთს კართან აწოდებდნენ ოლივერის ზუსტი თავური დარტყმის იმედით. ეს უპერსპექტივო რამ იყო, რახან მეტოქეები წინასწარვე იოლად იგებდნენ ყველაფერს.

● *რატომ განსხვავდებით ასე ყველა სხვა გერმანელი ფეხბურთის კომენტატორისაგან?*

— მე პირდაპირ და პატიოსნად უნდა გამიგოთ. თუ არა და, საერთოდ, არაფერს ვიტყვი. არასოდეს ვცდილობ სპეციალურად მოვერგო აუდიტორიას. კომენტარისას ზუსტად ისეთივე ვარ, როგორც ცხოვრებაში.

● *თქვენ, როგორც კომენტატორი, ანატომიურად ხსნით ყველაფერს, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე ხდებოდა. იმის დრო აღარ გრჩებათ, რომ ტურნირით აღფრთოვანება გამოთქვათ?*

— იცით რა, მე ხომ, უბრალოდ, ნორმალური საფეხბურთო მომხმარებელი არა ვარ, რომელსაც, ცხადია, სრულიად სამართლიანად ლამაზი თამაშების ნახვა და სიამოვნების მიღება სურს! მე ყველა თამაშს, ყველა გუნდს სპეციფიკურ კონტექსტში განვიხილავ. ავიღოთ მაგალითად, ნორვეგიელები. მათმა მწვრთნელმა ეგილ ულსენმა, შეზღუდული რესურსებით, ოპტიმალური სათამაშო სისტემა შექმნა — მის განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებს ოსტატურად მიუსადაგა ტაქტიკა. ასეთი შეხედულება არ არის პოპულარული გულშემატკივრებს, თუ გნებავთ არც სპეციალისტებს შორის. ყველა ამბობს: „დაიკარგონ აქედან ეს ხელოსნები“. მე კი ისინი აღტაცების გრძნობას მგვრიან.

● *ვინმემ მოახერხა კი საფრანგეთში ლამაზად, და ამავე დროს, ეფექტურად ეთამაშა?*

— ბრაზილიელები ერთადერთნი იყვნენ, ვინც ამას ძველებურად ახერხებდა. მათ თავიანთი „ცირკი“ მოაწესრიგეს. თავიანთ სისტემას საგულდაგულოდ არიან დაუფლებულნი, ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე შესანიშნავი მოთამაშეები ჰყავთ. რონალდოს შეუძლია თამაშის ბედი მარტოდმარტომ გადაწყვიტოს, დუნგა კი ის ვეტერანი იყო, ვინც ახალგაზრდებს წინ მიუძღოდა, თამაშის სერიოზულობასა და რიტმზე ზრუნავდა.

● *გაჩნდა თუ არა საფრანგეთში რაიმე ახალი სათამაშო სისტემა?*

— არ, ყველაფერი ეს ადრეც ვნახეთ. განსხვავება უფრო ეროვნულ ხასიათს ატარებდა. სამხრეთული ქვეყნების ფეხბურთელებს თამაშით თავიანთი მენტალიტეტის გამოჩენა სურდათ. რაც შეეხება გერმანულ ხასიათს, იგი არასოდეს არის კმაყოფილი საკუთარი გუნდის თამაშით.

● *და ეს სწორიც არის.*

— გასაგებია, ამ თვალსაზრისით მეც ხომ გერმანელი ვარ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე უკეთესნი ვართ, უკეთესად უნდა დავრჩეთ, მოთამაშეებმა კი ყოველივე ეს ყველა ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ შემთხვევაში უნდა დაამტკიცონ. ბერტი ფოგტსი ერთი იმ მცირეთაგანია, ვისაც ასეთი მოლოდინი მეტისმეტად მიაჩნია. იგი ხომ უკვე რამდენიმე წელია გვაფრთხილებს: გერმანული ფეხბურთი დიდი საფრთხის წინაშე დგას!

● *იზიარებთ თუ არა ფოგტსის შიშს, რომ გერმანელ ფეხბურთელთა ახლანდელი უფროსი თაობის წასვლის შემდეგ ბევრი მოუსავლიანი საფეხბურთო წელი დაგვიდგება?*

— როცა გერმანიის ნაკრებს საერთაშორისო კონტექსტში განვიხილავ, შიშისა და ძლიერი შეშფოთების გრძნობა მეუფლება.

მე 18-დან 24 წლის ასაკის ფეხბურთელებში სერიოზულ პრობლემებს ვხედავ. ინგლისს ჰყავს ოუენი, საფრანგეთს — ანრი და ტრეზეგე, ბრაზილიას — დენილსონი. ჩვენ კი მხოლოდ იერემისი, ისიც მხოლოდ იმისთვის ვარგოდა, რომ ორი თამაშის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დაგვესვა. ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით საფეხბურთო განათლების თვალსაზრით, არა გვაქვს კონცეფცია. რახან მხოლოდ ფიზიკურ კომპონენტში ვვარჯიშობდით, შემოქმედებითი საწყისი ჩავკალით. კლუბებს საკადრო დეფიციტი აქვთ, იძულებული არიან უცხოელები იყიდონ.

● *თქვენი აზრით, უახლოეს პერსპექტივაში გერმანული ფეხბურთი კანონზომიერად ეთხოვება მსოფლიო ელიტას?*

— ის, რაც ფოგტსმა საფრანგეთში გვიჩვენა, მთლიანად შეესატყვისება ბუნდესლიგის დონეს. თუკი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წამყვანი მოთამაშეები ნამდვილად დატოვებენ ნაკრებს, ჩვენ მკაცრი გამოცდა გველის. გვჭირდება დრო რეგენერაციისათვის, რათა კვლავ მივაღწიოთ მსოფლიო კლასის ფორმატს. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვახერხებთ, თუკი ამიერიდან სწორად ვიმოქმედებთ, თუკი გერმანიის ფეხბურთელის კავშირი ფოგტსის იდეებს მიჰყვება, კლუბები კი უწინარეს ყოვლისა, თავიანთ ახალგაზრდა მოთამაშეებთან იმუშავებენ.



ანდრეას მიოლერი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბროლინი ფეხბურთიდან მიდის

შვედი გულშემატკივრები უხასიათოდ არიან – მათმა კერპმა ***თომას ბროლინმა*** ოფიციალურად განაცხადა აქტიური ფეხბურთიდან წასვლის თაობაზე. არადა, სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ბოლო ათწლეულში შვედეთის ნაკრების წარმატებები – ლაპარაკია 1992 წლის ევროპისა და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე. ამ ორივე ასპარეზობაზე სკანდინაველთა გუნდი ნახევარფინალში გავიდა. თომას ბროლინი 1990 წლიდან ღირსეულად იცავდა იტალიის „პარმას“ ღირსებას, რომლის შემადგენლობაშიც 1993 წელს თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

### ინგლისური „პიტ-პარადი“

*ინგლისის საფეხბურთო ლიგამ გამოაქვეყნა ქვეყნის ისტორიაში 100 საუკეთესო ფეხბურთელის სია.* ცნობილია, რომ ნისლიანი ალბიონი ყოველთვის განთქმული იყო ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატებით, მაგრამ პიტ-პარადის თაოსნებმა გვერდი ვერ აუარეს ხუთ უცხოელს – ოსვალდო ალდირესს (1978-1990 წ.წ.), ერიკ კანტონას (1991-1997), დენის ბერგკამპს (1995-1998), აგრეთვე, ორ მეკარეს – ბერტ ტრაუტმანსა (1949-1964) და პიტერ შმეიხელს (1991-1998).

სიაში ირიცხებიან მოქმედი ფეხბურთელებიც: იოან რაში (1978-1998), ნევილ საუტჰოლი (1980-1998), პოლ მაკგრატი (1981-1998), ტონი ადამსი (1983-1998), პოლ გასკოინი (1984-1998), ალან შირერი (1987-1998), რაიან გიგზი (1990-1998).

ყველაზე გამორჩეულ ვარსკვლავთაგან არიან: სტენლი მეტიუზი (1931-1966), ტომი ლაუტონი (1935-1957), ალფ რამსი (1946-1955), ბილ რაიტი (1946-1959), ტომი ტეილორი (1950-1958), დუნკან ედვარდსი (1953-1958), ბობი ჩარლტონი (1956-1985), ჯიმი გრივსი (1957-1971), დენის ლოუ (1956-1974), გორდონ ბენქსი (1958-1973), ბობი მური (1958-1977), ჯეფ პერსტი (1959-1976), პეტ ჯენინგსი (1962-1985), ჯორჯ ბესტი (1963-1983), პიტერ შილტონი (1965-1997), რეი კლემენსი (1965-1988), კევინ კიგანი (1968-1984), ტრევერ ფრენსისი (1970-1995), გრემ სუნერსი (1972-1984), გლენ ჰოდლი (1974-1996), ბრაიან რობსონი (1974-1997), ალან ჰანსენი (1977-1990), კენი დალგლიში (1977-1990) – გარი ლინეკერი (1978-1993).

# „ტურ დე ფრანსის" სადოპინგო კატასტროფა

## ნუთუ მართლა უღალატებს სამარანჩი მსოფლიო სპორტულ ახალგაზრდობას?

ველორბოლა „ტურ დე ფრანსი" ყოველთვის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა სპორტულ სამყაროში. მის დაწყებას გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ, დიდი ინტერესით ხვდებოდნენ, პრესა რადიო და ტელევიზია ხომ ყოველთვის ფართოდ აშუქებდა. ერთი სიტყვით, ყოველწლიური „ტურ დე ფრანსი". სპორტული სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო. „იყო" შემთხვევით არ გვითქვამს...

წლეულს „ტურ დე ფრანსმა", რომ იტყვიან, ნამდვილად თავსლაფი დაისხა. იგი 189 ველომრბოლმა დაიწყო, დაამთავრა კი მხოლოდ 96-მა. ამის მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს.

მაინც რა მოხდა?

საქმე ის არის, რომ მონაწილეთა დიდ ნაწილს არა თუ ბრალი დასდეს, არამედ სრულიად იოლად დაუმტკიცეს დოპინგის ფართოდ გამოყენება. თავის დაცვის საშუალებაც კი არ დაუტოვებიათ, ისე აშკარად ამხილეს. პოლიციამ დაკითხა სპორტსმენები, მწვრთნელები და ექიმები, სასტუმროებში აღმოაჩინეს დიდძალი სტიმულატორი: ამფეტამინი, ერიტროპოეტინი, ანაბოლიკური სტეროიდები.

მეტი რაღა ჩარა იყო, გუნდებმა აღიარეს კიდეც (ცოტა დარცხვენით, რა თქმა უნდა!), რომ დოპინგს იყენებდნენ. დაიწყო არნახული სკანდალი, რომელიც გაამძაფრა თვით სეოკის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის ინტერვიუმ ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოს" კორესპონდენტთან. მისი აზრი დაახლოებით ასეთი იყო: მაინც განსაკუთრებული რა მოხდაო, ავდგეთ და დავუშვათ სპორტში ისეთი სტიმულატორები, რომლებიც ჯანმრთელობას არას ავნებს. პრეზიდენტის ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ინტერვიუ მისმა მოწინააღმდეგეებმა იმით ახსნეს, რომ „ბებერი" ძალიან გაანაწყენა „ტურ დე ფრანსის" ასპარეზობაში ესპანელი ველომბროლების (დიახ, უკლებლივ ყველას!) სრულმა კრახმა, ამასთან, ერთ-ერთ ესპანურ გუნდს, თურმე ნუ იტყვით, სადოპინგო საშუალებების მთელი საწყობი აღმოუჩინეს. მოდი და ამის შემდეგ მართლაც ნუ გამოხვალ მოთმინებიდან.

სამარანჩს მყისვე მიაკერეს „დოპინგის დამცველის" სახელი. გაზეთ „დეილი მეილის" კორესპონდენტი უფრო შორს წავიდა. ვერაფერი ინგლისური იუმორია, თქვენ ნუ მომიკვდებით, როცა ამ გაზეთმა წინადადება შეიტანა სამარანჩის საფლავის ქვაზე დიდი ასოებით წააწერონ: „მან უღალატა მსოფლიოს სპორტულ ახალგაზრდობას".



პრეზიდენტი სამარანჩი ადრე მაინცდამაინც ხშირად არ აღმოჩენილა სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში, ახლა კი, მეტი რაღა გზა იყო, თავი უნდა დაეცვა. ვინ არიან დამნაშავეები? როგორც ყოველთვის, ჟურნალისტები. დიახ, მათ არასწორად გაუგეს პრეზიდენტს. სამარანჩმა თავისთან მოუხმო სეოკ-ის წევრებს, დაამშვიდა ისინი და აუხსნა თავისი პოზიცია, მე როცა წამლებზე ვლაპარაკობდი, მხედველობაში ასპირინი მქონდაო. აბა, ასპირინის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს!

სამარანჩის განცხადებას არავინ დაუმშვიდებია, პირიქით...

იააფ-ის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო მოითხოვს ოლიმპიური მოძრაობიდან სპორტის ყველა იმ სახეობის გარიცხვას, რომლებსაც უნარი არ შესწევთ თავიანთი რიგებიდან ყველა ეს „დოპინგური მანიპულატორი" გააძევონ.

— მე არ მინდა მსაჯულის როლში გამოვიდე, მაგრამ სპორტი, სადაც დოპინგს ეგუებიან, არავის მოუტანს სიკეთეს. სამწუხაროდ, სპორტის ზოგიერთ სახეობაში ათლეტებს არწმუნებენ, რომ სტიმულატორები აუცილებელი რამ არის. უნდა გათავდეს ასეთი უკეთური პროპაგანდა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ველოსპორტის, ჩოგბურთისა და ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციებს დოპინგის მიმართ ყოველთვის თავისი განსაკუთრებული პოზიცია ჰქონდათ. ისინი არ ეთანხმებოდნენ დამნაშავეთა მიმართ მიეღოთ მკაცრი ზომები. ნებიოლო მათ წინააღმდეგაც გამოვიდა და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაც მოითხოვა.

გაოცება გამოიწვია სპორტის დარგში მომუშავე ცნობილი ავსტრალიელი მეცნიერის პიტერ ლარკინის განცხადებამ. მან თქვა, რომ სიდნეის ოლიმპიადის დროისათვის ათლეტები ტრადიციულ დოპინგზე უარს იტყვიან, დაიწყებენ გენური ინჟინერიის გამოყენებას. ეს რაღააო, იკითხავს მკითხველი. თურმე სპორტსმენებს ჩაუტარებენ გენის ტრანსპლატაციას, რაც მათ მეტ გამძლეობასა და ძალას მისცემს.

ჯერჯერობით ასეთი რამ, ამბობს ლარკინი, სპორტში არ ხდება, მაგრამ ორი წლის შემდეგ სიდნეიში სპორტსმენები მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიას გაეცნობიან, გენების შეცვლის პრობლემის წინაშე დავდგებით.

## „ტოტო-ლოტო" — მოთამაშეთა სიხარული!

*16 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეთექვსმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **7. 11. 13. 18. 23. 27.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 505.10 ლარი.
4 ციფრი – 7.80 ლარი.
3 ციფრი – 1.10 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 50.036 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **5 9 7 4 9 6 5**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 23 აგვისტოს, ჯეკ-პოტი **50.036** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




### 18 აგვისტო, სამშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლაები" (17.45), ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23.40). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). ფეხბურთი (8.15; 12.35; 18.45;21.15). ჰოკეი (9.25). აფროსნობა (17.25; 22.15). კრივი (23.15). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა (10.30). აფროსნობა (11.30; 12.30; 17.00). ფეხბურთი (13.30; 2.00). გოლფი (16.00). მძლეოსნობა (17.30; 19.00; 0.00). კრივი (22.30).

### 19 აგვისტო, ოთხშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (14.20). ***PTP.*** მძლეონობა. ევროპის ჩემპიონატი (0.45). ***HTB плюс спорт.*** ბოლიბილდინგის გაკვეთილები (7.05; 14.30). ფეხბურთი (8.00; 9.10). კალათბურთი (11.25). ჰოკეი (14.55; 18.25). აფროსნობა (13.30). ავტოსპორტი (22.55). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30). კარტინგი (12.00). ჩოგბურთი (13.30). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (14.00; 17.00; 18.00; 0.00). მოტოსპორტი (15.00; 16.00; 2.30).

### 20 აგვისტო, ხუთშაბათი

***საქართველოს ტელევიზია II არხი.*** „პარიზის ცის ქვეშ" (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მძლეოსეობა. ევროპის ჩემპიონატი (0,50). ***PTP.*** მძლეონობა. ევროპის ჩემპიონატი (15.25). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). 7.45. ჰოკეი (7.45; 15.25; 18.25). აფროსნობა (14.00). ცხენოსნობა (21.15). ჩოგბურთი (22.15). სპორტული ცეკვები (22.45). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30; 11.30). წყალში ხტომა (12.30). მსოფლიო ჩემპიონატი თევზაობაში (13.00). მოტოსპორტი (15.00; 16.00; 17.15). აფრიკის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (22.45). კრივი (23.30). რალი (1.30).

### 21 აგვისტო, პარასკევი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: „მეტალურგი" – „დინამო" თბ. (23.55). „ასპარეზი" (21.20), ***II არხი.*** „საფრანგეთის სურნელი" (20.00). რაგბის მოყვარულთათვის (20.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45) ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23.20). ***PTP.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (15.25; 0.45). საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 14.30). ჰოკეი (7.45; 14.55). ჩოგბურთი (11.30). ავტოსპორტი (17.50). ფეხბურთი (21.55). ავტოსპორტი (0.00). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10,30; 11.30). მსოფლიო ჩემპიონატი თევზის ჭერაში (13.00). ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (14.00; 18.30; 22.45; 0.00). მოტოსპორტი (15.00; 16.00; 18.45; 3.00). კრივი (23.30).

### 22 აგვისტო, შაბათი

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ფეხბურთი: „სპარტაკი" – „კრილია სოვეტოვი" (16.55). ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (23.55). ***PTP.*** ევროპის ჩემპიონატი მძლეონსობაში (8.00; 16.30). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (0.30). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (9.40). ფეხბურთი (9.55; 12.15; 18.55; 23.05). ჰოკეი (14.55). კრივი (17,30). კალათბურთი (22.30). ცხენოსნობა (0.05). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (12.00). ავტოსპორტი (12.30; 13.00; 1.30). მძლეოსნობა (14.00; 23.30). მოტოსპორტი (15.00; 16.00; 17.15; 19.00; 2.00). გოლფი (20.00). ჩოგბურთი (21.00).

### 23 აგვისტო, კვირა

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერმატჩი" (20.00). ***იბერია.*** „თამაშები საზღვრებს გარეშე" (19.00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.10). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ჰოკეი (23.55). ***PTP.*** მძლეოსნობა (14.30; 0.35). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი (10.00; 19.30). ფეხბურთი (11.30; 23.35). ჰოკეი (12.55; 16.55). ჭადრაკი (16.20). ფიგურული ციგურაობა (21.50). კრივი (0.10). ***EUKOSPORT.*** ავტოსპორტი (10.00; 17.00; 1.30). მოტოსპორტი 13.00; 19.30; 2.00). მძლეონობა (8.30; 0.00). გოლფი (23.30). ჩოგბურთი (20.30).

## სხვადასხვა მერიდიანზე

### 19 სექტემბერს: ჰოლიფილდი — ბინი

**19 სექტემბერს ჯორჯიის შტატის ქ. ატლანტაში, სადაც ევანდერ ჰოლიფილდი ცხოვრობს, გაიმართება მისი მატჩი ვოგნ ბინთან.**

**იმის გამო, რომ მეტოქეთა ძალები აშკარად არათანაბარია, მაინცდამაინც ბევრი მაყურებლის დაინტერესებას ორგანიზატორები არ მოელიან. სპორტული ნაგებობა, სადაც შეხვედრა უნდა გაიმართოს, 40 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ ჰოლიფილდი ფიქრობს, რომ იგი არ გაივსება. ამიტომაც ევანდერისათვის ფიქსირებული ჰონორარი არც კი დაუწესებიათ. ამის ნაცვლად მიიღებს პროცენტებს გაყიდული ბილეთებიდან, ისე კი დაახლოებით 3 მილიონი დოლარის იმედი აქვს.**

### მოკრივეები გამვლელ-გამომვლელს დაერივნენ

ცნობილი მოკრივე შენონ ბრიგსი თავისი მეგობრების თანხლებით ღამის კლუბიდან ბრუნდებოდა. გზაში ახალგაზრდების ჯგუფი შემოხვდათ ბეისბოლის მოთამაშეების მაისურებით. მოკრივეებს ბევრი აღარ უფიქრიათ და შემხვედრებს გვარიანად ურტყეს. დაზარალდა სრულიად შემთხვევით იმავე კლუბიდან თავის ქმართან ერთად მიმავალი 23 წლის ქალი.

როცა პოლიციამ მოკრივეები დააკავა, ისინი მარიხუანით გაბრუებულები აღმოჩნდნენ.

## ანანდის გეგმები

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ვიშვანათან ანანდი მოსკოვში „ოსკარის" მიღების შემდეგ ჟურნალისტებს ესაუბრა.

● ***რა ხდება დღეს ინდოეთის ჭადრაკში?***

— ამ თამაშის პოპულარობა ჩემს სამშობლოში დღითი დღე იზრდება. იმას, რაც ამ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოხდა, თითქმის რევოლუციაც კი შეიძლება ვუწოდოთ. როცა მე სკოლის გუნდში ვთამაშობდი, მაშინ ჩვენთან სულ 30 მოჭადრაკე იყო. სამი წლის წინათ კვლავ მივედი ამ სკოლაში და გავვოცდი, როცა გავიგე, რომ აქ უკვე ათასამდე ბავშვი თამაშობს ჭადრაკს.

● ***გყავთ თუ არა ერთგული მეგობრები და დაუძინებელი მტრები?***

— (ეცინება). მუდმივი მტრები არა მყავს. თუკი ხანდახან ვინმე გადამეკიდება ხოლმე, ვცდილობ, რომ ეს მუდმივად არ გაგრძელდეს. თუკი სერიოზულად ვილაპარაკებთ, იმათთან, ვისთანაც საქმე მაქვს, კარგ ურთიეთრობას ვინარჩუნებ. მეგობრებიც ბევრი მყავს.

● ***რას იტყოდით ჭადრაკის სამყაროში დღეისათვის შექმნილ სიტუაციაზე?***

— ვფიქრობ, რომ იგი სავსებით ნორმალური არ არის. შეიძლება ეს რაღაც სასარგებლოც კი იყოს ჭადრაკის... პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ასეთი მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება არახელსაყრელია – ჩვენ ყველას ერთიანი სისტემა უნდა გვქონდეს.

● ***როგორია თქვენი შემდგომი შემოქმედებითი გეგმები?***

— დასვენების შემდეგ დავიწყებ მომზადებას ტილბურგის სუპერტურნირისათვის, მაგრამ მანამდე, ოქტომბერში ესპანეთში ერთ პატარა ტურნირში ვითამაშებ.



## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი, 6. ალუმზე მედროშე, 8. გაუტკივარება, 11. ცნობილი კურორტი ბულგარეთში, 14. აკრობატული ილეთი, 15. ადგილი ტრიბუნაზე, 16. არგენტინელი ფეხბურთელი, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 17. რაც არქიმედეს აღმოხდა ახალი აღმოჩენისას, 21. საფოსტო გზავნილება, 22. მცენარეთა ერთობლიობა, 23. უცხოეთის საფეხბურთო კლუბი, 26. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 27. მოგზაურობა მესამე ქვეყნის გავლით, 28. წარმოსახვა, ოცნება.

**შვეულად:** 1. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 2. ტბა საქართველოში, სანიჩბოსნო ბაზით, 2. ევროპის ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 4. სოფელი ზუგდიდის რაიონში, 7. სპორტსმენი ანუ... 9. შენობის შიგნითა ნაწილი, 10. საეკლესიო რიტუალი სულის მოსახსენებლად, 12. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი. 13. სოფელი ზესტაფონის რაიონში, 18. ფეხბურთელი, ავსტრიის ნაკრებში, თამაშობდა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში. 19. სისხლნაკლებობა, 20. „დათა თუთაშხიას" პერსონაჟის გვარი, 24. კუთხე საქართველოში, 25. ნორვეგიელი მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ფეხბურთში ევროპის 1997-98 წლების საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩების მომენტები. ზემოთ — ჩემპიონთა ლიგა: რეალი (მადრიდი) — იუვენტუსი (ტურინი); შუაში — თასების მფლობელთა თასი: „ჩელსი" (ლონდონი) — „შტუტგარტი"; ქვევით — უეფას თასი: „ინტერი" (მილანი) — „ლაციო" (რომი). ეს მატჩები გაიმართა ამსტერდამში. სტოკჰოლმში, პარიზში.

### სამპრასი: ძალზე უხეში ახალგაზრდობაა

27 წლის პიტ სამპრასი უკმაყოფილოა ჩოგბურთში ახალგაზრდა მოთამაშეების მთელი პლეადის გამოჩენით, რომელიც თავს იწონებს მოჩვენებითი „გაუთლელობით", ისტერიულები, ყბედები, გამომწვევები არიან და უხეშად ექცევიან ოფიციალურ პირებსაც და თავის კოლეგებსაც. სამპრასს ძალიან არ მოსწონს ის გარემოება, რომ ასეთ ახალგაზრდებს თანამოაზრეებიც ჰყავთ.

— ბოლო უკანასკნელი წლის მანძილზე მე ერთი გარემოება მაშფოთებდა. კარგად ვთამაშობდი, რეიტინგშიც პირველი ვიყავი, უდიდეს ტურნირებში ვიმარჯვებდი და... მოსაწყენ ადამიანად ვითვლებოდი. თუმცა ჩოგბურთში წარმატებები მქონდა, ჩემი სატელევიზიო რეიტინგი სულ უფრო ეცემოდა...

როცა „გაუთლელებზე" ლაპარაკობს, სამპრასი ჩილელ მარჩელო რიოსს გულისხმობს, რომელიც, რაც უფრო უხეშად იქცევა, უფრო... პოპულარული ხდება.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. იაროსლავცევი
(რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეe2! - ცუგცვანგი,
1. ...კ:c5+ 2. ეe7X,
1. ...მფ:a6 2. ეa2X

ეტლის დაბრუნებით.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე